ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 7 აგვისტო 2007 №180 (3103)

ფასი 50 თეთრი




**ვენური ამბები დუშან უჰრინისგან** 2



**რა მოხდა დერეფანში?**

**გაუხმაურებელი ამბავი გრემ პოლმა გაახმაურა** 7



**VS**



**პოეზიის ხუთი წუთი** 9

# კალაძემ რეალში ფეხი შედგა



ორიოდ დღის წინ მოსკოვში რკინიგზის თასის საერთაშორისო ოთხთა ტურნირი რომ დასრულდა, გეცოდინებათ.

ტურნირის დაწყებამდე კი ერთი სახალისო ამბავი მოხდა — აეროპორტიდან გამოსულ მილანელ კაკას მხარი ექცა და მადრიდის „რეალის“ ავტობუსში ამოყო თავი. კაკას უკან მიჰყვა საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე და კიდევ რამდენიმე მილანელი...

ბუნებრივია, ამ ამბავს საკმაო გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა სასტუმროში დაბრუნებულმა ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა ჟურნალისტებს ერთხელაც განუცხადა, ეს უბრალო შეცდომა იყო და „რეალი“ საერთოდ არ მაინტერესებსო.

ამასობაში კი, რუსმა ჟურნალისტებმა კალაძე „არასპორტულ საქციელშიც“ ამხილეს — გაზეთ „ტვოი დენის“ ცნობით, კახამ და რუსმა პოპვარსკვლავმა ჟანა ფრისკემ ბანკეტისას საკმაოდ თბილად მოიკითხეს ერთმანეთი. მოგვიანებით ფრისკემ ისიც თქვა, მე და კალაძეს ინტიმური შეხვედრა გვქონდაო.



# ვენური ამბები დუშან უჰრინისგან
## დინამოს მწვრთნელმა რაპიდი დერბიში ნახა



თბილისის „დინამო" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის შემდეგ შინ რომ დაბრუნდა, მწვრთნელი დუშან უჰრინი ავსტრიაში შეყოვნდა და მომავალი მეტოქის, ვენის „რაპიდის" მატჩს დაესწრო.

მოგეხსენებათ, „ვადუცი" — „დინამო" ხუთშაბათს იყო. პარასკევს კი უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა შედგა. შედეგიც იცით, „დინამოს" „რაპიდი" ერგო. თბილისელთა ხელმძღვანელობამაც დრო აღარ დაკარგა, საქმეს დაუხანებლად შეუდგა და უჰრინს ორი დღის შემდეგ „რაპიდის" საქმეში ნახვის საშუალება მიეცა.

„დინამოს" მწვრთნელი თბილისში გუშინ დაბრუნდა და ავსტრიული ამბების გარდა, ერთი-ორი სიტყვა საქართველოს მოახლოებულ ჩემპიონატზეც გვითხრა...

— ძალიან პრინციპულ და საინტერესო მატჩს დავესწარი, ვენური დერბი იყო, „რაპიდი" — „ავსტრია", რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულ შეხვედრად ითვლება. 18-ათასიანი სტადიონის ტრიბუნები, ცხადია, ბოლომდე შეივსო. პირველ ტაიმში თანაბარი თამაში გამოვიდა. შესვენების შემდეგ კი უპირატესობა „რაპიდისკენ" იყო. თუმცა ორი ყველაზე სახიფათო მომენტი სწორედ „რაპიდის" კართან შეიქმნა. მცველებს ორივე ეპიზოდში ოფსაიდი ეგონათ, მსაჯებმა კი თამაში გააგრძელეს. „რაპიდი" ორჯერვე მეკარემ იხსნა, მან საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა.

— ზოგადად რას იტყვით მომავალ მეტოქეზე, რა გუნდია „რაპიდი"?

— ავსტრიულ ფეხბურთზე წარმოდგენა აქამდეც მქონდა და „რაპიდის" თამაშის შემხედვარეს რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე არ ჩამინიშნავს. ფიზიკურად კარგად მომზადებული და ორგანიზებული გუნდია. ვარსკვლავი არ ჰყავს, თითქმის თანაბარი ძალის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მეტწილად 4-4-2 სქემით თამაშობს, თუმცა, თამაშის მანერიდან გამომდინარე, მწვრთნელი ტაქტიკურ მონახაზს, ალბათ, ცვლის კიდეც.

— მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?

— ცხადია, ჯერჯერობით შანსები თანაბარია და პირველ მატჩამდე ასეც იქნება. პირველი მატჩის შემდეგ კი, იმედი მაქვს, „დინამოს" უპირატესობა გამოიკვეთება. „დინამოს" სახით ევროტურნირს ერთადერთი ქართული კლუბი შერჩა და ვეცდებით, ქვეყნის პრესტიჟი და ღირსება დავიცვათ. ყველაზე ტიტულოვანი ქართული გუნდი ყველაზე ცნობილ ავსტრიულ კლუბს უნდა ეთამაშოს. მჯერა, რომ „დინამოს" „რაპიდის" დამარცხება შეუძლია და ჩვენ საამისოდ ძალებს არ დავზოგავთ.

— ამ ეტაპზე გუნდის მომზადების დონით კმაყოფილი ხართ?

— დიახ. ყველაფერი კარგადაა. ამჟამად გუნდი ისეთ ფორმაშია, როგორიც ამ ეტაპზეა სასურველი. როცა ჩემპიონატი დაიწყება, გუნდი ნელ-ნელა კიდევ მოუმატებს და უკეთ ათამაშდება.

— ჩემპიონატი კი „რაპიდთან" პირველ მატჩამდე, ამ უქმეებზე იწყება...

— დღეს სწორედ ჩემპიონატის პირველ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი და გუნდიც ამ შეხვედრისთვის ემზადება. ჩემპიონ „ოლიმპს" ვსტუმრობთ და საკმაოდ ძნელი თამაშის მოლოდინში ვარ. „ოლიმპის" შემდეგ კი „რაპიდთან" მატჩზე გადავერთვებით.

— ახალი სეზონისთვის გუნდი უკვე საბოლოოდ დააკომპლექტეთ?

— დიახ, „დინამოში" ცვლილებები აღარ იქნება და ზამთრამდე ამ ფეხბურთელებით ვეცდებით სასურველი შედეგის მიღწევას, შემდეგ კი ვნახოთ. შესაძლოა, ზამთრის შესვენებისას გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდეს. თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, ზამთრამდე ჯერ ადრეა.

*-უეფას კენჭისყრით, „რაპიდი" — „დინამოს" პირველი მატჩი 16 აგვისტოს ვენაში უნდა გამართულიყო, მაგრამ მეტოქეთა შეთანხმებით სტუმარ-მასპინძელი შეიცვალა. 16 აგვისტოს შეხვედრა თბილისში შედგება, საპასუხო კი ვენაში ორი კვირის შემდეგ იქნება. უკვე ცნობილია, რომ „მიხეილ მესხზე" მატჩი 18 საათზე დაიწყება, ხოლო ვენაში — ცხრის ნახევარზე.*

**კობა ინასარიძე**

# ახალი უცხოელი ოლიმპში
## სტოიკოვს დღე-დღეზე იტყვიან

**გუშინ** რუსთავის „ოლიმპმა" ამხანაგური მატჩი გამართა თბილისის „ვიტ ჯორჯია 2"-თან და 1:0 მოიგო.

მატჩის ერთადერთი გოლი ჯაბა დვალმა 73-ე წუთზე გაიტანა მას შემდეგ, რაც პირისპირ დარჩენილმა მეკარე მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

საინტერესოა, რომ ვარლამ კილასონიას გუნდში კიდევ ერთი უცხოელი გამოჩნდა — მაკედონიელი ნახევარმცველი დრაგან სტოიკოვი მეორე ნახევარში შევიდა შეცვლაზე.

როგორც შევიტყვეთ, მისი წასვლა-დარჩენის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

*ოლიმპი: მერლანი (მ. ალავიძე 46), მახვილაძე, სილაგაძე, ორბელაძე, რ. ჯიქია, ქებაძე, გეწაძე, დვალიშვილი, კოპალეიშვილი, დვალი, მასუანგა (სტოიკოვი 46).*

**ნუკრი ლოლაძე**

# ასლანაძე: მწვრთნელიც და მეკარეც

**რაოდენ** გასაკვირიც უნდა იყოს, ბოლნისის „სიონმა" საჩემპიონატო განაცხადში მეკარეთა მწვრთნელი დავით ასლანაძე შეიყვანა.

30 წლის ასლანაძე თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე იყო. უთამაშია ქუთაისის „ტორპედოში", თბილისის „ამერში" და ბოლნისის „სიონში". ბოლო ორი წელია, ტრავმის გამო აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და „სიონში" მეკარეებს წვრთნიდა, ახლა კი, შესაძლოა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანზე ვიხილოთ.

„ძირითადში მოხვედრის ამბიცია არც თავად დათოს აქვს — გვითხრა „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა — ის განაცხადში მესამე მეკარედ შევიყვანეთ. ისე კი, შეიძლება გამოგვადგეს."

როგორც შევიტყვეთ, ბოლნისელები დღეს გადაწყვეტენ ლაშა ვაშაკიძის ამბავს. ვაშაკიძეს ჭიათურის „მაღაროელთან" კონტრაქტი აქვს და ვნახოთ, შეძლებენ თუ ვერა ბოლნისელები მის გადაბირებას.

ჭიპაშვილის თქმითვე, „სიონს" ცენტრალური მცველის და ნახევარმცველის დამატებაც სურს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





# თემურ მახარაძესთან ცუდი ურთიერთობა არასოდეს მქონია

**თურქული შეკრებიდან დაბრუნდა „ზესტაფონი" და ახალი სეზონისთვის მზადებას შინ აგრძელებს. მოგეხსენებათ, კვლავ გუნდშია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძე. იგი „ზესტაფონს" ურეკულ შეკრებაზე შეუერთდა და თურქეთშიც გაჰყვა...**

— ურეკში ათი დღით ვიყავით. ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა და ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდა. ორი ტესტ-მატჩიც გავმართეთ — ზუგდიდის „მგლებთან" პირველი 0:0 დავამთავრეთ, მეორეში კი 2:1 ვძლიეთ. შემდეგ თურქეთში, ანკარიდან 100 კილომეტრში მდებარე პატარა მთიან ქალაქში 14 დღე გავჩერდით და მინდა ვთქვა, რომ იდეალურ პირობებში ვიყავით. რამდენიმე მატჩი იქაც გავმართეთ. პირველი შეხვედრა ირანულ გუნდთან გვქონდა და უგოლოდ გავეყარეთ. შემდეგ მოვუგეთ ტაჯიკეთის ჩემპიონს და ბოლოს „ანთალიასფორთან" 1:1 ვითამაშეთ. სხვათა შორის, ყველა ნორმალური გუნდი იყო, განსაკუთრებით, „ანთალიასფორში".

— მწვრთნელ თემურ მახარაძესთან მოაგვარე ურთიერთობა?

— დაძაბული ურთიერთობა არც გვქონია. მაშინ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და მეტი არაფერი. ამ თემაზე საერთოდ აღარ მსურს საუბარი. მე „ზესტაფონის" ფეხბურთელი ვარ და მინდა, კვლავ გავახარო გოლებით ზესტაფონელი გულშემატკივარი.

— „ტობოლთან" ინტერტოტოს თასის მატჩს ტრიბუნიდან უყურეთ და როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა სასურველი ანგარიშით ყაზახური გუნდის დამარცხება?

— პირველი შეხვედრის წინ რაც გადახდა ჩვენს გუნდს, გეცოდინებათ. მატჩის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, გუნდი რომ ჩაფრინდა და ფეხბურთელები სათანადოდ ვერ მოემზადნენ, თორემ „ტობოლის" დამარცხება შეიძლებოდა. ეს თბილისურ მატჩშიც დაამტკიცა „ზესტაფონმა", მთელი შეხვედრის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდა.

— რამდენიმე წელია, „ზესტაფონს" ერთი ნაბიჯი აკლდება ტიტულის მოსაპოვებლად. ცხადია, ახალ სეზონში კლუბის ხელმძღვანელები სერიოზულ შედეგს მოითხოვენ...

— მიზანი ჩემპიონობა და თასის აღებაა. ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. პროგრამა-მინიმუმი კი უეფას თასის საგზურია.

— ჩემპიონატი კი მალე დაიწყება...

— პირველ ტურში თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ვხვდებით და სერიოზულად ვემზადებით. ჩემპიონატი აუცილებლად მოგებით უნდა დავიწყოთ.

**ნუკრი ლოლაძე**

**გერმანია**

თასი. I ეტაპი

ბურგჰაუზენი 1:1დ.დ. (3:4პ) ბაიერნი

**ირლანდია**

პრემიერლიგა. XXI ტური

ბრეი 1:2 დროჰედა

სტ. პატრიკსი 1:1 დუბლინი

**შოტლანდია**

პრემიერლიგა. I ტური

ჰართსი 0:1 ჰიბერნიანი

**დანია**

სუპერლიგა. IV ტური

ოდენსე 3:0 ნორდსიელანდი

**შვედეთი**

ალსვენსკა. XVII ტური

აიკ 3:0 ბრომაპოიკარნა

გაის 1:1 იურგორდენი

გეფლე 0:2 გიოტებორგი

სუპერეტა. XVII ტური

ატვიდაბერგი 0:1 ნორჩიოპინგი

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა. XVI ტური

ტპს 1:0 მიუპა

ჰიკ 1:1 ვიკინგიტი

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. II ტური

ამიენი 0:0 ტრუა

**ჩეხეთი**

გამბრინუსლიგა. I ტური

სპარტა 1:0 ლიბერეცი

**სლოვენია**

I ლიგა. III ტური

ნოვა გორიცა 1:0 პრიმორიე

**უნგრეთი**

ბორსოდილიგა. III ტური

მტკ 0:0 უიპეშტი

**ნორვეგია**

ტიპელიგა. XVI ტური

ლილესტრიომი 2:0 სტრომსგოდსეტი

# ჟანა ფრისკემ ენა ატრიალა: კახა კალაძესთან ინტიმური მატჩი მქონდა



**მაღალი** საზოგადოების ინტრიგების გამოჩხრეკვაზე დაგეშილი რუსული გაზეთები იუწყებიან, ქართველ ფეხბურთელ კახა კალაძეს რუს მომღერალ ჟანა ფრისკესთან ინტიმური პაემანი ჰქონდაო.

და საიდან შეიტყვეს? საიდან და, თავად ქალბატონ ფრისკეს ურცხვად ულიარებია, ინტიმური შეხვედრა გვქონდაო.

რუსულ პოპმუსიკაში ჩაუხედავთ მოვახსენებთ, რომ ჟანა ფრისკე სიმღერაში ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, სამაგიეროდ, ეფექტური გარეგნობის გამო ვარსკვლავ ფეხბურთელებში გახლავთ პოპულარული.

ასე მაგალითად: რამდენიმე თვის წინ ფრისკეს ფრიად საინტერესო ურთიერთობა ჰქონდა ცსკა-ს ბრაზილიელ დანიელ კარვალიუსთან.

კახა კალაძეს მივუბრუნდეთ. „მილანის“ ქართველი მცველი თავის გუნდთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა რკინიგზის თასის ტურნირზე. ამ შეჯიბრში მოსკოვის „ლოკომოტივი“, „მილანი“, „რეალი“ და „პსვ ეინდჰოვენი“ მონაწილეობდნენ.

ტურნირის დასრულების მერე, რომელიც ჰოლანდიურმა კლუბმა მოიგო, ორგანიზატორებმა ბანკეტი მოაწყვეს, რომელზეც ხსენებული ჟანა ფრისკეც მიიწვიეს და ამღერეს.

როგორც რუსი ჟურნალისტები წერენ, ბანკეტისას ფეხბურთელები მოწყენილები იყვნენ, რაკი მწვრთნელ-უფროსობის თანდასწრებით ბოლომდე ვერ გაილაღეს. ამიტომ ფეხბურთელებს წვეულება მალევე მიუტოვებიათ, ოღონდ კახა კალაძე სხვებს არ გაჰყოლია და სასტუმროს ჰოლში დალოდებია ფრისკეს გამოჩენას.

ხოლო რა მოხდა შემდეგ, თავშივე მოგახსენეთ თავად მომღერლის ნაამბობიდან გამომდინარე: ჩვენ ინტიმური შეხვედრა გვქონდა.

**კოტე ძაძელია**

# ვის დაუჯერებენ სირაძე და მისი გუნდი: ქომაგებს თუ ხელმძღვანელებს?

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ დავით სირაძეს „პადერბორნში“ ოფიციალური დებიუტი ჰქონდა — გერმანიის თასის პირველი ეტაპის მატჩში ლევერკუზენელ მოყვარულებთან 79-ე წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი და „პადერბორნი“ მომდევნო ეტაპზე გაიყვანა. სირაძემ საგოლე კომბინაციაც თავად დაიწყო — კრუპნიკოვიჩს მარჯვენა ფლანგზე გაუჭრა პასი, მის ჩაწოდებულს საჯარიმოში დახვდა და თავით თამაში რომ ეხერხება, ერთხელაც დაამტკიცა...

— მოყვარულებმა, ცოტა არ იყოს, გვარიანი წინააღმდეგობა გაგიწიეს...

— ეს პირველ ტაიმში უფრო იგრძნობოდა, რადგან მწვრთნელმა ერთი თავდამსხმელით დაიწყო თამაში და ძირითადად კონტრშეტევაზე ვცდილობდით გოლის გატანას, მეორე ტაიმში კი უფრო შეტევაზე გადავიტანეთ აქცენტი. რამდენიმე მომენტი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. კიდევ ერთი გოლის გატანაც შემეძლო — მეკარესთან პირისპირ დავრჩი, მაგრამ კარს ავაცილე. ვერ ვიტყვი, რომ იოლი მატჩი იყო, მაგრამ არც სანერვიულო გვქონია.

— ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშე. ამჯერად რა პოზიციაზე დაგაყენა მწვრთნელმა?

— ის ერთხელ იყო, თორემ აქ სულ გამოკვეთილ ფორვარდად ვთამაშობ.

— **საკონტროლო თამაშებში მეტწილად შეცვლაზე თამაშობდი და ახლაც ასე იყო ოფიციალურ მატჩში.**

— სეზონის დაწყებამდე ჯერ კიდევ დროა. მწვრთნელი ისევ ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია, რაც თავისთავად კონკურენციითაა გამოწვეული. რამდენიმე თავდამსხმელი ვართ გუნდში, თითქმის ყველა სხვადასხვა სტილის. ვინ როგორ მოერგება გუნდს, სეზონის დროს გამოჩნდება.

— ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებთ?

— რა გამოგვივა, სეზონის ბოლოს ვნახავთ. გინდათ თუ არა ბუნდესლიგაში გადადითო, ხელმძღვანელობას არ მოუთხოვია, ეს უფრო გულშემატკივართა სურვილია.

— დაახლოებით ორ კვირაში კი სანაკრებო თამაშია ლუქსემბურგთან. ნაკრების ხელმძღვანელობა არ შეგხმიანებია?

— ჯერჯერობით არა. თუ საჭირო ვიქნები, ალბათ, რამდენიმე დღეში შემატყობინებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





# რომელი ხართ ნიჭი-ბიჭი?

**დღეიდან** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ამხანაგური მატჩები გაიმართება, რომლებშიც 1989-90 წლებში დაბადებულები მიიღებენ მონაწილეობას. ამ მატჩებს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი და მეკარეთა მწვრთნელი მამუკა აბუსერიძე დაესწრებიან.

შეხვედრათა განრიგი ასეთია:

7 აგვისტო. ფოთი. „ფაზისი“
**სამეგრელო — იმერეთი**

8 აგვისტო. ქუთაისი. „ტორპედო“
**იმერეთი — აჭარა**

9 აგვისტო. გორი. „თენგიზ ბურჯანაძე“
**შიდა ქართლის გუნდები**

10 აგვისტო. თელავი. „გივი ჩოხელი“
**კახეთი — ქვემო ქართლი**

12 აგვისტო. თბილისი.
**დასავლეთი — აღმოსავლეთი**

# ქართველები ზემოთ-ქვემოთ მუდმივი პალანგა და ზედაც პორტუგალია



**18 აგვისტოს** ლიტვის ქალაქ პალანგაში 17-წლამდელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება და, აბა, როგორ იქნება, ამ შეჯიბრებამ ქართველების გარეშე ჩაიაროს.

ბალტიისპირელებმა ჰერბერტ ცანკერის ნაკრების გარდა, კიდევ ხუთი გუნდი მიიწვიეს.

საბოლოოდ, შვიდი ნაკრები ორ ჯგუფად გაიყო. ჩვენები ოთხგუნდა ჯგუფში მოხვდნენ აზერბაიჯანთან, რუსეთთან და ლატვიასთან ერთად.

მეორე ჯგუფში ლიტვა, ირლანდია და ბელარუსი მოხვდნენ.

ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასულები ფინალში ითამაშებენ, მეორეები — მესამე ადგილისთვის, მესამეები კი მეხუთე ადგილს გაარკვევენ.

ეს იქნება ჰერბერტ ცანკერის გუნდისთვის კიდევ ერთი მოსამზადებელი ეტაპი 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის, რომელიც 24 სექტემბერს ბულგარეთში გაიმართება. იქ ჩვენებს მასპინძელთა გარდა, ხორვატ და უნგრელ თანატოლებთან მოუწევთ ძალების მოსინჯვა.

სხვათა შორის, ბულგარეთში ქართველები შორი გზით, პორტუგალიის გავლით ჩავლენ — პირინეიზე ჩვენები იქაურ თანატოლებთან 18 და 20 სექტემბერს ამხანაგურად ითამაშებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჯანსაღი ჩემპიონი

**კუს ტბის** ხელოვნურსაფარიან მოედანზე დასრულდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბის და ეზოს ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტურნირი „ჯანსაღი კონკურენცია“. ფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ „ცენტრპოინტი“ და „ნატახტარი“ წარდგნენ. „ცენტრპოინტმა“ 2:0 მოიგო და ტურნირის მთავარი პრიზის, იტალია — საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრის საგზურის მფლობელი გახდა.

გამოვლინდნენ სხვა პრიზების მფლობელებიც. საუკეთესო ბანკის ტიტული „თი-ბი-სიმ“ მოიპოვა. სამშენებლო კომპანიათა შორის უძლიერესი „ცენტრპოინტი“ გამოდგა. ტელევიზიებს შორის საუკეთესოს ტიტული ტელეკომპანია „მზემ“ ირგუნა, ხოლო გამაგრილებელ სასმელთა შორის უძლიერესის ტიტული „ნატახტარს“ ერგო.

საუკეთესო ფეხბურთელი — ავთო ასათიანი („ცენტრპოინტი“);
საუკეთესო მცველი — გიორგი მუშკუდიანი („ცენტრპოინტი“);
საუკეთესო მეკარე — დათო ჯვარშეიშვილი („ნატახტარი“);
ბომბარდირი — ნიკა გაბოძე („ტექს ჯგუფი“).

**კახა შალამბერიძე**

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## პირველი შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები



მერანი — ჩიხურა 1:0

ბადრი კაპანაძის ფოტო

თბილისი. 4 აგვისტო. 17.30 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

**ლოკომოტივი (თბილისი) 1:0 ოლიმპიკი (თბილისი)**

1:0 გულორდავა (46)
ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, მალიჩავა, ლალაძე (მ. ცლენტი 66), გულორდავა, ი. სამხარაძე, მიქაძე, ალავერდაშვილი (ჩაგელიშვილი 56)
სათადარიგონი: მიგინეიშვილი, ქუხილავა, ტიკურიშვილი, ბარბაქაძე, კობიაშვილი
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე
ოლიმპიკი: კველიძე, ალავიძე, გოგიაშვილი, ცუცქირიძე, როსტომაშვილი, ფურცელაძე (ბეროშვილი 71), მაისურაძე, ლვინიაშვილი, ხოკერაშვილი (იაშვილი 64), ბებუა, შონია (ოქრუაშვილი 66)
სათადარიგონი: ქუნთელია, დაუშვილი, სანოძე, ბელთაძე
მწვრთნელი: ლევან მელიქია
გაფრთხილება: გოგიაშვილი (19), გულორდავა (28), მიქაძე (54), სამხარაძე (88)
გაძევება: ხოხონიშვილი (34)
მსაჯები: თ. გვანცელაძე, თ. ხუჭუა, მ. ელიკაშვილი, მ. მაისურაძე

ბოლნისი. 4 აგვისტო. 17.30 საათი. თამაზ სტეფანია. 200 მაყურებელი

**სიონი (ბოლნისი) 0:1 მაღაროელი (ჭიათურა)**

0:1 ტყებუჩავა (89)
სიონი: ბობლიაშვილი, ოქრომირიძე, დ. ხვანიძე, ფრიდოლინი, ბუცხრიკიძე (კვიციანი 46), რაქვიაშვილი, სანიკიძე, ლ. ბაჯელიძე, ქარდავა (გაგუა 46), ჩასემი (რეხვიაშვილი 73), ზ. ქუთათელაძე
სათადარიგონი: გ. იაშვილი, პაპუაშვილი, მენთეშაშვილი
მწვრთნელი: ნოდარ აკობია
მაღაროელი: დოლაძე, მგელაძე, შუკაკიძე, ბრეგვაძე, ეგაძე, გამცემლიძე, გილურიძე, ჩოგოვაძე (ტყებუჩავა 75), სეფერთელაძე, ვ. ტყემალაძე, მუშკუდიანი (ხაჭიპერაძე 58)
სათადარიგონი: ბადურაშვილი, სამხარაძე, ზ. ტყემალაძე, ზამბახიძე
მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე
გაფრთხილება: მგელაძე (25), ოქრომირიძე (70), ეგაძე (83), ხაჭიპერაძე (87)
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია, ჯ. ხორავა

სამტრედია. 4 აგვისტო. 17.30 საათი. ეროსი მანჯგალაძე. 250 მაყურებელი

**სამტრედია (სამტრედია) 0:2 მგლები (ზუგდიდი)**

0:1 კრასოვსკი (16), 0:2 ბაკარაძე (90)
სამტრედია: ხარძეიშვილი, გოგია, დ. ნინუა, რუხაძე (ივანიაძე 46), კვესეიშვილი, ლეჟავა, ჩუბინიძე (რ. ნინუა 46), გაბედავა, ა. ივეჩიანი, ეცადეიშვილი, სუნიაევი (თვალაბეიშვილი 61)
სათადარიგონი: ბათურელი, მამულაშვილი, შ. გაგუა
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი
მგლები: დევაძე, ეჟონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, დ. ქირია (ჯლოჯუა 73), კუტალია, ვართაგავა, ხუბუა, კრასოვსკი (გ. გაბედავა 81), ჭედია (ბაკარაძე 66)
სათადარიგონი: ივარდავა, წურწუმია, ლიპარტია, ხუხია
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია
გაფრთხილება: ეცადეიშვილი (31), ხუბუა (31)
მსაჯები: გ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე, ი. მაჩიტიძე, პ. დოგრაშვილი

ახალციხე. 4 აგვისტო. 17.30 საათი. მ. იაძე. 500 მაყურებელი

**მესხეთი (ახალციხე) 10:0 სძური (წალენჯიხა)**

1:0 კაიდარაშვილი (9), 2:0 რუსია (20), 3:0 4:0 გვირჯიშვილი (22, 27), 5:0 ინასარიძე (37), 6:0 კაიდარაშვილი (45), 7:0 გ. თურმანიძე (49), 8:0 რუსია (77), 9:0 თურმანიძე (83), 10:0 თაყაძე (88)
მესხეთი: სომხიშვილი (ძამუნაშვილი 50), გ. ნადირაშვილი, კობესაშვილი, ლეკიშვილი, გ. თურმანიძე, აფრიამაშვილი, ინასარიძე (სუდაძე 50), მ. თაყაძე, ა. კაიდარაშვილი, გვირჯიშვილი, რუსია
სათადარიგო: არავინ
მწვრთნელი: კობა თედიაშვილი
სძური: მ. ყურუა, ჯ. ყურუა, სიჭინავა, გოგუა, ჭკუასელი (ეგია 75), როგავა, ჩახაია, არახამია (ბ. კვარაცხელია 63), შარტავა, ნაჭყებია, მოლაშხია (ნ. ქუხილავა 46)
სათადარიგო: კოკელაძე
მწვრთნელი: თამაზ კვარაცხელია
გაფრთხილება: ეგია (85)
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, ხ. სპიცინი, კ. გუდურაშვილი, ხ. გაგნიძე

გორი. 4 აგვისტო. 17.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 300 მაყურებელი

**დილა (გორი) 4:0 ზოოვეტი (თბილისი)**

1:0 შატაკიშვილი (48), 2:0 სულთანიშვილი (50), 3:0 დ. ხანიშვილი (55), 4:0 სადალაშვილი (90)
დილა: თ. ილურიძე, მახურაშვილი, ზ. ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, სადალაშვილი, ბალიაშვილი, შატაკიშვილი (შერმადინი 66), ტლაშაძე (კურტანიძე 52), სამადაშვილი (ნ. ნოზაძე 58), სულთანიშვილი
სათადარიგონი: კუჩუაშვილი, ი. თაყაძე, ი. ლომიძე, იჩქითი
მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე
ზოოვეტი: გოგრიჭიანი, ჯოხაძე, ალასანია, ასაბაშვილი, სალინაშვილი, კაპანაძე, მხეიძე (თავართქილაძე 53), ბოჭორიშვილი, ელოშვილი (დ. ჯიქია 58), ხომერიკი (გ. ხუციშვილი 46), ს. ქუთათელაძე
სათადარიგო: არახამია
მწვრთნელი: ჯემალ გუგუშვილი
გაფრთხილება: ჯოხაძე (21), სალინაშვილი (88), სულთანიშვილი (88), ჯიქია (90)
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ა. კოკაია, ი. უკლება, გ. კიკაჩეიშვილი

მცხეთა. 4 აგვისტო. 17.30 საათი. არმაზი. 200 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია (თბილისი) 1:0 მეშახტე (აგარა)**

1:0 გელაშვილი (63)
ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ლუქაშვილი, ინჯგია, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, ზ. სახოკია (ი. კიკნაძე 82), ბერიაშვილი (გელაშვილი 42), გ. მელქაძე (ლიპარტია 46)
სათადარიგონი: მიქაბერიძე, ადამაძე, კაიშაური, მაისაშვილი
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე
მეშახტე: პ. ოთარაშვილი, ახობაძე, ლ. ტყებუჩავა, დონდოლაძე, გვარუციძე, გარუჩავა, გაგნიძე (კრავეიშვილი 56), ლ. კვარაცხელია (ობგაიძე 73), მ. ლობჟანიძე, ლ. კობახიძე (მიმინოშვილი 69), ებანოიძე
სათადარიგონი: დერევიანჩენკო, ბ. გოცირიძე, ლ. რეხვიაშვილი
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა
გაფრთხილება: გარუჩავა (10), გაგნიძე (44), ტყებუჩავა (64), ებანოიძე (87), ლუქაშვილი (87)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია, ვ. გუმბერიძე

თელავი. 5 აგვისტო. 17.40 საათი. გივი ჩოხელი. 200 მაყურებელი

**კახეთი (თელავი) 3:2 არაგვი (დუშეთი)**

1:0 ბიძინაშვილი (30), 2:0 ბურდული (31), 2:1 ხუბელაშვილი (52), 3:1 ბურდული (79), 3:2 წიკლაური (88)
კახეთი: გ. ოთარაშვილი, გერგიშვილი, ტარულაშვილი, გ. გიგაური, იოსებაშვილი, აბდულაევი, ლოლაძე, თიგიშვილი (კობაიძე 41), ბიძინაშვილი, დ. ბურდული, ახალბედაშვილი (ტეტიაშვილი 81)
სათადარიგო: მურველაშვილი
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე
არაგვი: ფიცხელაური, არაბული, წიკლაური, ი. გოგოლაური (ძიძიშვილი 46), გ. ციმაკურიძე, ვ. გოგოლაური (ბრაჭული 46), ცოკილაური, ხუბელაშვილი, ლ. გოგოლაური, ბ. აფციაური, ქეთელაური
სათადარიგონი: კაველიძე, ვ. მეზვრიშვილი, ჯ. მეზვრიშვილი
მწვრთნელი: თამაზ მირზიაშვილი
გაფრთხილება: წიკლაური (90)
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, შ. ქუხილავა, ი. ურუშაძე

გორი. 5 აგვისტო. 17.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

**სპარტაკი (ცხინვალი) 0:2 გაგრა (გაგრა)**

0:1 მეტრეველი (52პ), 0:2 ჩარგეიშვილი (67)
სპარტაკი: კოდალაევი, კეტაშვილი (კეკოშვილი 70), პარამონოვი, ხაჭიპერიძე, ცქვიტაია (გოგოლაძე 46), ივანაშვილი, გოგოხია, თ. თარხნიშვილი (ქავთარაძე 75), ძამუკაშვილი, დარბაიძე, გ. ხიდეშელი
სათადარიგო: ქვილითაია
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი
გაგრა: ხომერიკი, ქაჯაია, ქვრივიშვილი, ხატიაშვილი, თოთაძე, დათუნაშვილი (ხელაძე 46), ცხადაია, ჩარგეიშვილი, შარიქაძე (ყიფიანი 64), ძაგანია, მეტრეველი (გ. აფციაური 70)
სათადარიგონი: დგებუაძე, გ. მერებაშვილი, სუხიშვილი, ყაზარაშვილი
მწვრთნელი: გია ჭიაბრიშვილი
გაფრთხილება: ცხადაია (27), მეტრეველი (48)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ი. კაკაბაძე, დ. კურტანიძე, კ. ჭაჭუა

ბორჯომი. 5 აგვისტო. 17.30 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

**ბორჯომი (ბორჯომი) 4:0 მერანი (მარტვილი)**

1:0 შ. ჯიქია (27), 2:0 მერებაშვილი (70), 3:0 თედიაშვილი (83), 4:0 ნ. ლომიძე (89)
ბორჯომი: შეყრილაძე, ლ. ჭელიძე, ლ. მერებაშვილი, აკობია, ქარქოზაშვილი, მემარნიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი (ნასყიდაშვილი 66), თ. ლონლაძე (ნ. ლომიძე 85), თედიაშვილი, შ ჯიქია (დევიძე 71)
სათადარიგონი: ასაბაშვილი, ტალახაძე, გოგიჩაიშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე
მერანი: ძაგანია, აქუბარდია (ზურაბიანი 34), კვიტატიანი, ხაჟომია, ფარცხვანია, წოწორია (ავალიშვილი 71), უგლავა, ლ. ჩალაძე, ბ. რუხაძე, ხაჩიძე
სათადარიგო: ციცხვაია
მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
გაფრხილება: ჩხიკვაძე (52), ჯიქია (55), კვიტატიანი (68)
მსაჯები: ო. ხეცაძე, ე. ნარმანია, ზ. ასკაროლლი, მ. ურუშაძე

ბათუმი. 5 აგვისტო. 17.30. ადელი. 200 მაყურებელი

**დინამო (ბათუმი) 3:0 უნივერსიტეტი (ქუთაისი)**

1:0 ოქრუაშვილი (10), 2:0 ბეჟანიძე (21), 3:0 დემურაძე (25)
ბათუმი: თოთლაძე (მამინაშვილი 55), კუნჭულია, ლ. მახარაძე, გალოგრე, მაკარიანი, ოქრუაშვილი, ბეჟანიძე, დარჩიძე (კაციტაძე 67), ნაჭყებია (ა. ბაჯელიძე 46), დემურაძე, ტუღუში
სათადარიგონი: გოგიტიძე, კალანდარიშვილი, ბ. მახარაძე
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე
უნივერსიტეტი: მეფარიშვილი, ტორაძე (ი. ფოფხაძე 72), ბიბილაშვილი, შველიძე, ხეცურიანი (ფაცაცია 46), ლოხაბერიძე, ჩხარტიშვილი, ბ. ჩხეტიანი, გერასიმოვი (ქოლოშვილი 46), მორჩაძე, ქაშიბაძე
სათადარიგონი: ბასილაია, კუბლაშვილი, გოგებაშვილი
მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე
გაფრთხილება: ბაჯელიძე (86)
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ზ. ერქვანია, კ. ბერაძე, მ. ნაკაიძე

თბილისი. 5 აგვისტო. 17.30 საათი. ნორჩი დინამოელი. 100 მაყურებელი

**მერანი (თბილისი) 1:0 ჩიხურა (საჩხერე)**

1:0 ბ. ნოზაძე (19პ)
მერანი: სეფიაშვილი, გ. ლოლაძე, თ. კობიაშვილი (ქემაშვილი 82), ლომაშვილი, სარალიძე, გ. კილასონია, ზ. ავალიანი, ფურთუხია (ტყეშელაშვილი 46), ბ. ნოზაძე, ქორიძე (ვ. გოჩაშვილი 46), მ. წიქარიშვილი
სათადარიგონი: თევდორაძე, კობერიძე, ჯანგიძე, კ. ავალიანი
მწვრთნელი: თამაზ კოსტავა
ჩიხურა: მწყერაშვილი, ხვედელიძე, ცარციძე, მაჭარაშვილი, როგავა, ზ. ნოზაძე, ნადირაძე, გულიაშვილი, სტეფანიშვილი, პეტრიაშვილი, ბრეგვაძე
სათადარიგო: არავინ
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
გაფრთხილება: ფურთუხია (4), როგავა (26)
მსაჯები: ლ. სილაგავა, ო. მოლოდინაშვილი, ზ. ბერულავა, დ. ხანაია

geo_geo_fan@hotmail.com

# რაც მთავარია: ნდობა!

სააბალსეზონო ევროთასების პირველმა ეტაპმა ჩაიარა და „სარბიელის" ფოსტაშიც ერთი ახალი წერილი მოვიდა. მართალია, მკითხველის ეს რუბრიკა დახურული გვქონდა, მაგრამ, როგორც ადრე მომხდარა, არც ამჯერად დავწყვიტავთ გულს მისტერ მენს, რომელმაც არ დაიზარა და თავისი აზრი გაგვაცნო.
აქვე დავძენთ, რომ წერილი გარკვეულ მიზეზთა გამო შემოკლებულია — იმედია, ავტორი მიხვდება, რატომაც მოვიქეცით ასე. თქვენ კი გელით, მალე თბილისის „დინამო" უეფას თასის მეორე ეტაპზე ავსტრიულ „რაპიდს" შეხვდება და შეგიძლიათ, რუბრიკა გახსნილად ჩათვალოთ... ოღონდ, ერთი შენიშვნით: არაკორექტული წერილები არ დაიბეჭდება.

**MISTER MEN**: გმადლობთ, „ამერი"! „ამერი" ნამდვილად ჩამოყალიბდა, როგორც ქართული ფეხბურთის სინდისი და ნამუსი, ანუ ეს კლუბი ცდილობს, რომ მთელ ქართულ ფეხბურთს ღირსება შეუნარჩუნოს. არა უშავს, რომ ვერ გავიდა შემდეგ ეტაპზე, სამაგიეროდ, „ამერი" იბრძვის და ცდილობს, რაც შეიძლება, განსხვავდებოდეს ყველა სხვა ქართული გუნდისგან. შედეგი აუცილებლად მოვა და, მე თუ მკითხავთ, მოსულიც არის უკვე. რაც დრო გადის, წარმატებაც მატულობს და, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, „ამერი" სულ მალე იქნება პირველი ქართული კლუბი, რომელიც თბილისში ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს მოგვასმენინებს და საერთოდაც, „ამერმა" უკვე მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებას, რაც შეიძლება კაცმა სპორტში ინატროს. ეს არის ხალხის სიყვარული დაფასება და იმის რწმენა, რომ „ამერი" თამაშს არ გაყიდის და მოედანზე წინასწარ გასაგდებად განწირული არ გადის. მოკლედ, დიდი მადლობა!

ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ გაგვაგებინებდით, ვინ არის ის ხალხი, ვინც ამას სათავეებში უდგას, ხალხმა უნდა იცოდეს „ამერის" მეპატრონეები და მათ სახალხოდ მადლობა უნდა გამოვუცხადოთ. სხვა თუ არაფერი, იმ სხვა გუნდების მეპატრონეები, ვინც ასე უსირცხვილოდ თავს გვჭრიან, თამაშებს ყიდიან ან, ბოლოში და, ჩაფახებული გადიან სათამაშოდ, იქნებ ეგენი შურით გასკდნენ, როცა დაინახავენ, თუ როგორ აფასებს ხალხი მათ, ვინც ღირსეულად იქცევა.

არ ვიცი, ეს რა ჭირი აგვიკიდეთ, როგორ მოვაშოროთ ქართულ ფეხბურთს ეს ბნელი ძალები. ისე, დააკვირდით, ყველა იმ საქმეს, რომელიც ხალხის ყურადღებას იპყრობს, რაღაც ბნელი ძალები განაგებენ. თითქოს მათ უნდათ, რომ ხალხს ნერვები აუშალონ. ვერ გავიგე, ყველაფერში პრეზიდენტი თუ არ ჩაერია, ისე არაფერი რატომ არ გამოგვდის, ხომ შეიძლება, რამე თვითონ ხალხმა გავაკეთოთ!

ხომ იცით, ერთი ღირსეული ათას უღირსს აჯობებს! „ამერს" გაუმარჯოს!!!

geo_geo_fan@hotmail.com

# გიჟი ბაყაყი ლონდონში

## მიხაელ ბალაკი: არავითარი რეალი, მე ჩელსელი ვარ!

**მიხაელ ბალაკი** კატეგორიულად აცხადებს, რომ „ჩელსიდან" მადრიდის „რეალში" გადასვლა არ სურს.

ჭორი, თითქოს გერმანელი ვარსკვლავი ლონდონიდან ესპანეთის დედაქალაქში გადადის, მას მერე აგორდა, რაც მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ „გალურჯების" შემდეგ, პირველ სეზონში, მან განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია. მეორე მხრივ, „რეალში" გადასვლაშიც ცუდი არ უნდა იყოს, მაგრამ ბალაკმა დაიჩემა, რომ ლა ლიგა მას არ აინტერესებს.

მიხაელ ბალაკი: „თავიდან ბოლომდე „ჩელსის" ერთგული გახლავართ. მე ლონდონში ერთი წლის წინ ტიტულების მოსაგებად და ინგლისურ ფეხბურთში წარმატების მისაღწევად ჩამოვედი და მინდა ინგლისელი ფანები დავარწმუნო, რომ გეგმები არ შემცვლია...

...ლონდონში ცხოვრება, როგორც პროფესიული, ასევე ოჯახური თვალსაზრისით, კარგად ამეწყო. შესაბამისად, დაბეჯითებით მინდა გითხრათ, რომ ყოველგვარი ხმა ჩემი სხვა გუნდში გადასვლის შემახებ, ტყუილია. „ჩელსიდან" წასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს და არც მადრიდელებთან მქონია რაიმე კონტაქტი. ერთადერთი პრობლემა, რაც ამწუთას ჩემს წინაშე დგას, ტრავმაა, თუმცა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ყველა ღონეს ვხმარობ, რათა თანაგუნდელებს, რაც შეიძლება, მალე შევუერთდე".

ამასობაში კი, მადრიდის „რეალმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად არის, ბალაკის და არიენ რობენის სანაცვლოდ „ჩელსის" 45 მილიონი ევრო გადაუხადოს.




AFP




ხოლო, სანამ ბალაკი თანაგუნდელებთან შესაერთებლად მეცადინეობს, ლონდონელი ჟურნალისტები ახალწვეულის, ფლორენ მალუდას სწავლობენ და წერენ, რომ ის და დიდიე დროგბა ძმები ბლუზები არიან. მათთვის, ვისაც გამოთქმა ძმები ბლუზები არაფერს ეუბნება, ვიტყვით, რომ 1980 წელს ამერიკაში გამოვიდა ამ სახელწოდების მქონე ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს კომიკოსები, დენ ეკროიდი და ჯონ ბელუში ასრულებდნენ. ახლა იმაზე, თუ რა კავშირი აქვს ამ Blues Brothers „ჩელსისთან". საქმე ის გახლავთ, რომ აქ, უბრალოდ, სიტყვების თამაშია. ეს სათაური, ერთი მხრივ, გამოდის „ძმები ბლუზები", მეორე მხრივ კი, „ძმები ლურჯები", რაც ლონდონური გუნდის ფერზე მიგვანიშნებს. თურმე ნუ იტყვით და, მალუდა და დროგბა მუსიკის გიჟები ყოფილან და მთელი საზონისწინა შეკრების განმავლობაში „ყურთსასმენებწამოცმულები" ერთად დადიოდნენ.

მაგრამ, ეს კიდევ არაფერი. დროგბასა და მალუდას საერთო გაცილებით მეტი ჰქონიათ, ვიდრე რეპის სიყვარულია, ისინი თურმე ოდესღაც „გენგამში" თანაგუნდელები იყვნენ. ეს იმ დროზე მოგახსენებთ, როდესაც ერთიცა და მეორეც ფრანგულ ფეხბურთში პირველი ნაბიჯების გადადგმას ცდილობდნენ.

შემდეგ ცხოვრება ასე განვითარდა: სპილოს ძვლის ნაპირელი, ანუ დროგბა „მარსელში" გადაბარგდა, ხოლო ფრანგი „ლიონში", რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი პრინციპულ მეტოქეებად იქცნენ, დღეს კი, როგორც ხედავთ, „სტემფორდ ბრიჯზე" ერთად ჩამოუცვამთ ყურთსასმენები.

ორიოდ სიტყვით მალუდას შესახებ. ეს გარემარბი ლონდონში 13,5 მილიონი გირვანქის საფასურად გადაიყვანეს და მდიდარი ფეხბურთელის სტატუსიც დაუმკვიდრეს, მაგრამ დროგბასი არ იყოს, ბავშვობა და ყრმობა მასაც მწარე ჰქონდა.

იცით, რომ საფრანგეთის გვიანაში დაბადებული მალუდა 15 წლის რომ იყო, პარიზში თავისი ფეხით წამოვიდა? ეს მისი ცხოვრების უდიდესი გადაწყვეტილება იყო. მალუდა დღეს 27 წლისაა და ასე ყვება:

„15 წლისა „შატორუში" სათამაშოდ წავედი. იცით, როდესაც საფრანგეთის გვიანაში ხარ დაბადებული და გაზრდილი, სათამაშოდ ან სამუშაოდ სწორედ საფრანგეთში უნდა წახვიდე...

...ერთი სიტყვით, ხუთი წელიწადი „შატორუში" გავატარე და კიდევ სამი „გენგამში", რის შემდეგაც „ლიონში" მოვხვდი. მაშინ პირველად შევაბიჯე უმაღლესი დონის გუნდის კარი...

...ერთი სიტყვით, დიდი მოგზაურობა გამომივიდა, მაგრამ თავდაპირველად ბერნარ ლამას ველაპარაკე. ის საფრანგეთის ნაკრების წევრი იყო და თან ჩემი ქვეყნიდან გახლდათ. ჩვენ ერთი ქალაქიდან ვიყავით და მე მინდოდა, ისეთივე დიდი გამხდარიყავი, როგორიც ის გახლდათ. საუკეთესი რჩევები სწორედ მან მომცა, ჰოდა, მეც ჩავალაგე ჩანთა და გზის გაკვლევას ცდა არ დავაკელი".

რა შედეგიც გამოიღო ამ ყველაფერმა, ყველასთვის კარგად არის ცნობილი — დღეს ფლორენ მალუდა საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, რომელმაც 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაშიც კი დააჭაშნიკა.

მალუდას ლონდონური ხელფასი წელიწადში 3 მილიონი გირვანქა გახლავთ, მაგრამ, როგორც ირკვევა, მისი მაინცდამაინც „ჩელსიში" გადასვლის მიზეზი ფული ვერ ... დროგბასთან მეგობრობაც იყო, თორემ ისე, „რეალი" და „ლივერპულიც" ეპატიჟებოდნენ.

მალუდა: „მე და დიდიეს კარიერაში სხვადასხვა პოზიციებზე მოგვისინჯავს თამაში. მე ყველაზე კარგად თავს ნახევარდაცვის ან თავდასხმის მარცხენა ფრთაზე ვგრძნობ და დიდიესთან შეთამაშების პრობლემა არ მაქვს. მან იცის, რომ მე ვეხმარები და როდესაც მოედანზე ვარ, დაცვაზე ბევრი ფიქრი აღარ სჭირდება. „ჩელსიში" ჩემი ფუნქცია დროგბასთვის და შევჩენკოსთვის მომენტების შექმნაა...

...ინგლისურ გუნდთაგან პირველი „ლივერპული" დამიკავშირდა. რაფა ბენიტესიც ჩინებული ადამიანია. ჩემი გადაბირება ძალიან უნდოდა „რეალსაც", მაგრამ მე მარტივად განვსაჯე — „ჩელსიში" ხალხს ვიცნობ. დიდიეს ხომ კარგად ვიცნობ და „ლიონში" მიკაელ ესიენთანაც გამიგორებია ბურთი. საფრანგეთის ნაკრებში კლოდ მაკელელეს და ლასანა დიარას მხარდამხარაც მიბრძოლია".

და, როგორც ამბობენ, მალუდამ ლონდონში უკვე ახალი მეგობრებიც გაიჩინა. ალბათ, ისინი, ვისაც მისი შესრულებით ლეგენდარული „გიჟი ბაყაყის" კომპოზიციები მოეწონა, თუმცა, ამ შემთხვევაში უფრო მთავარია, ვის მოეწონება მისი საფეხბურთო კომპოზიციები.

მალუდა ამბობს: „მე ზუსტად ვიცი, რა უნდა ვაკეთო „ჩელსიში". ფეხბურთელს მოედანზე და საწვრთნელ მინდორზე თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. მან ეს ადგილი ყოველდღიური ბრძოლით უნდა მოიპოვოს. სწორედ ამით ვიყავი დაკავებული „ლიონსა" თუ ნებისმიერ სხვა გუნდში, სადაც კი მითამაშია...

...ფეხბურთელებიდან ვინ მიყვარს? რომარიო. მას საოცარი სიმშვიდით გაჰქონდა გოლები. აი, როგორი მინდა, ვიყო. მას თავისი საქმე უყვარდა და ასე ვარ მეც. იცით, საქმით სიამოვნების მიღება გადამწყვეტია და სწორედ ამიტომ ვმღერივარ „გიჟი ბაყაყის" კომპოზიციას. ვფიქრობ, დასაწყისი კარგი მაქვს".

**პაპუნა ძიძია**

# აბა, მუშტი-კრივში ნახე...

**ეს** რა ნახა რაფა ბენიტესის თვალებმა: სტივენ ჯერარდმა თავი დაკარგა და „ლივერპულის" მწვრთნელის რწმენით, ამაში მსაჯია დამნაშავე.

ეს გახლდათ „ლივერპულისა" და „ფეიენოორდის" ამხანაგური თამაში, ოღონდ, ვაი, ისეთ ამხანაგობას, შეხვედრის მიწურულს კაი მუშტი-კრივი რომ ატყდება.

ყველაფერი როტერდამელთა გარემარბ როისტონ დრენტეს გამო დაიწყო: დრენტე ჯერარდს ეუხეშა, რაზეც ლივერპულელთა ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ შური იძია — თავად დაეჯახა როტერდამელს, რომელსაც დანიელ აგერმა ზედ ბურთიც მიარტყა. ეს კი დრენტემ ველარ მოითმინა და აფეთქდა. მის აფეთქებას ასეთი გაგრძელება მოჰყვა — მეორე როტერდამელმა თეო ლუსიუსმა აგერს რამდენჯერმე ხელი ჰკრა, რაზეც ჯერარდი გადაირია, ფეიენოორდელს მივარდა და ჰუკი სთხლიშა.

„ლივერპულის" კაპიტანი ამ კრივისთვის მსაჯმა მხოლოდ და მხოლოდ ყვითელი ბარათით დასაჯა, თუმცა ბენიტესმა ჭკუა იხმარა და ჯერო რამდენიმე წამში შეცვალა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბენიტესმა თავისი ფეხბურთელი კი არ გაკიცხა, ჰოლანდიელ მსაჯ პიტერ ვინკს მისდგა.

ცნობისთვის: ვინკმა 6 ლივერპულელი გააფრთხილა.

„ყველაფერი იმიტომ გართულდა, რომ მატჩის მსვლელობისას მსაჯმა რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო და ამან შეხვედრის მიწურულს ხალხი გაალიზიანა. არა, არ ვეთანხმები აზრს, რომ მატჩი ორთაბრძოლებით იყო სავსე და ჩხუბამდე ამან მიგვიყვანა. მატჩი ორთაბრძოლებით კი არა, მსაჯის უცნაური გადაწყვეტილებებით იყო სავსე...

...რაც შეეხება სტივს... ის ჩინებული იყო. მას მოედნის შუაში უყვარს თამაში და იქ თავი გამოიჩინა".

ჩხუბმა, რომლის შესახებაც ახლა მოგახსენეთ, მთლიანად ჩაყლაპა როტერდამის ტურნირი, რომელშიც „პორტუმ" გაიმარჯვა.

**პაპუნა ძიძია**



# სწავლა, სწავლა და სწავლა


AFP

„ქომუნითი შილდი“, ანუ ინგლისის სუპერთასი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ვეტერანი მეკარის ედვინ ვან დერ სარის ჩინებული პენალტისტობის წყალობით მოიგო, ხოლო ასეთი გამარჯვების შემდეგ ჰოლანდიელ გოლკიპერს ალექს ფერგიუსონის ქება რომ მიელო, რაა გასაკვირი. აი, რა თქვა სერ ალექსმა 36 წლის მეკარის მიერ მოგერიებული სამი თერთმეტმეტრიანი დარტყმის შესახებ:

„მან იცოდა, რომ საქმე, შესაძლოა, პენალტებისკენ წასულიყო და შესაბამისადაც მოემზადა. ვან დერ სარის მოედანზე ყოფნა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პენალტებში კი, უბრალოდ, საუკეთესო გახლავთ. მან საგანგებოდ შეისწავლა, როგორ არტყამენ „ჩელსის“ წამყვანი ფეხბურთელები პენალტებს. მაგალითად, მან ფრენკ ლამპარდის დარტყმის მანერა შეისწავლა და შედეგიც მიიღო“.

მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ჩემპიონმა მეკარემ ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელთან შეხვედრაში ლამპარდის გარდა პენალტები კლაუდიო პიზაროსა და შონ რაიტ-ფილიპსს აუღო.

მატჩის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. მანჩესტერელთაგან რაიან გიგზმა, ხოლო ლონდონელთაგან ახალწვეულმა ფლორენ მალუდამ გაიტანეს.

და მართალია, მწვრთნელმა ჰოლანდიელი მეკარე ძალიან აქო, თავად ვან დერ სარი ამბობს, რომ ის სულაც არ არის საუკეთესო პენალტისტი:

„აქამდე, პენალტებში 2:5-ს ვაგებდი, ასე რომ, „ქომუნითი შილდზე“ გამარჯვებამ ულიდეს სიხარული მომგვარა. ვფიქრობ, ჩვენ ამ გამარჯვებას ვიმსახურებდით. მატჩის მსვლელობისას ჩვენ მეტოქეზე მეტი მომენტი შევქმენით და ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში დამარცხებისთვის ერთგვარად შურიც ვიძიეთ“.

მანჩესტერელთაგან თერთმეტი მეტრიდან რიო ფერდინანდმა, მაიკლ კარიკმა და უეინ რუნიმ გაიტანეს.

რუნი: „სეზონის ამაზე უკეთესად დაწყებას ვერც ვინატრებდით“.

და ბოლოს ისევ ფერგიუსონი: „გამარჯვებამ, რასაკვირველია, ძალიან გაგვახარა, მაგრამ ასეთი მოგებებისგან დიდი ამბავი არ უნდა შევქმნათ, რადგან ორივე გუნდს წამყვანი ფეხბურთელების ნაწილი აკლდა“.

**პაპუნა ჰედია**

# რა მოხდა დერეფანში?
## გაუხმაურებელი ამბავი გრემ პოლმა გაახმაურა

**მსაჯმა** გრემ პოლმა „დეილი მეილს“ უამბო, თუ რა მოხდა „ჰაიბერის“ დერეფანში 2005 წლის 1 თებერვალს „არსენალი“ — „მანჩესტერის“ დაწყებამდე, რომელიც 2:4 დასრულდა.

„გუნდებს ნიშანი მივეცი, რათა გასახდელებიდან გამოსულიყვნენ, მაგრამ არავინ გამოჩნდა — თქვა პოლმა — ორივეს უნდოდა, რომ მეტოქე დერეფანში დალოდებოდა და ფეხს ითრევდნენ. არსენ ვენგერი და ალექს ფერგიუსონი თავ-თავისი ოთახების კართან იდგნენ და ერთმანეთის ფეხბურთელების გამოსვლას ელოდებოდნენ. რაკი გამოსვლა იუარეს, მივედი არსენ ვენგერთან, გუნდის გამოყვანა ვთხოვე და მანაც შეასრულა. დერეფანში პატრიკ ვიეირას გვერდით მივდიოდი და ვითარების განმუხტვას ვცდილობდი.

ფრანგს ვუთხარი: „გახსოვს შარშანდელი, როი კინს რომ ეხუმრებოდი? მაშინ ხომ რაღაცაზე ბევრი იცინეთ“.

ვიეირამ მიპასუხა: „დღეს ხუმრობა აღარ იქნება“.

მერე სერ ალექსს მივაკითხე. მან მითხრა, რომ როი კინს ელოდებიან და ამიტომ იგვიანებენ გამოსვლას. არა უშავს, მივუგე მე, ორი-სამი წუთი პრობლემა არაა.

„არსენალის“ მოთამაშეები და მწვრთნელები მოედნისკენ მიდიოდნენ, როცა ხმაური მომესმა — პატრიკ ვიეირას და გარი ნევილს ერთმანეთთან სიტყვები მიეტანათ და ფრანგი ღრიალებდა: „დღეს ფეხებს დაგამტვრევ!“

ამ დროს როი კინი გამოჩნდა, არსენალელს ეცა და დაუღრიალა: „აბა, იგივე გაიმეორე ჩემთან!“ ფრანგმა გაიმეორა: „შენც დაგამტვრევ!“

კინმა იცოდა, რომ იმ პერიოდში ვიეირას „რეალში“ ეპატიჟებოდნენ და ირონიულად უთხრა: „თუ ფიქრობ, რომ ფეხების ლეწვა კარგი იდეაა, მაშინ შენი ადგილი მართლაც „რეალშია“.

მონეტის აგდებისას და ბურთ-მოედნის არჩევისას, კაპიტნებმა, კინმა და ვიეირამ, ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვეს, გრემ პოლს კი თამაშის დაწყებიდან ორ წუთში ექვსჯერ მოუწია ფეხბურთელების დაჯარიმებამ.

საბოლოოდ ექვსი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი იშიშვლა. წითელი ფერი მანჩესტერელ მიკაელ სილვესტრს ერგო ფრედი ლუნგბერგისთვის თავის დარტყმის გამო.

„კიდევ ერთი პრობლემა იყო უეინ რუნი — განაცხადა გრემ პოლმა — ამბობენ, რომ პირველ ტაიმში მან 27-ჯერ თქვა „ფაქ ოფ“ და უმეტესად ჩემი მისამართით. მისი გაძევებაც მინდოდა, მაგრამ კინს და რუნის ვუხმე და კაპიტანს ვუთხარი, უეინი თუ არ მოკეტავს, გავაგდებ-მეთქი. მუქარამ გაჭრა და მატჩის ბოლომდე ხმა აღარ ამოუღია“.

**ვაჟა ხუციშვილი**



## მუსლერის მსურველები

**ფერნანდო მუსლერის** მსურველთა შორის ლონდონის „არსენალიც“ გაერია. მონტევიდეოს „ნასიონალის“ 21 წლის მეკარის შეძენით „ინტერი“, „იუვენტუსი“, „ჯენოა“ და „ბენფიკა“ არიან დაინტერესებულნი.

ურუგვაული მედიის ცნობით, მეკარისთვის ბრძოლაში „ინტერი“ დაწინაურდა. „არსენალმა“ პოლონელი ლუკაშ ფაბიანსკი კი იყიდა ამ ზაფხულს, მაგრამ მომავალ წელს იენს ლემანი მიდის და მისი შემცვლელი სურს.

## ჰიიპია მილიონად

**„ლივერპულის“** ძირითად შემადგენლობაში იშვიათად მოთამაშე სემი ჰიიპია „ფულემში“ გადასვლაზე უარს არ იტყვის — წერს „დეილი მეილი“.

ლონდონურმა კლუბმა „წითლებს“ 33 წლის ფინელ მცველში მილიონი გირვანქა შესთავაზეს, რაც „ლივერპულმა“ იცოტავა.

ჰიიპიას გადაბირებას „ნიუკასლი“ და „უიგანიც“ ლამობენ.

გარდა ამისა, „ფულემს“ ფრანგი ფორვარდი ანტონი ლე ტალეკიც უნდა, რომელიც „სოშოში“ „ლივერპულიდანაა“ განათხოვრებული.

## რეალმა დამურას დაასწრო

**„ელ მუნდო დეპორტივოს“** ცნობით, მადრიდის „რეალმა“ „ვალენსიას“ გზა გადაუჭრა და „ლიონიდან“ კიმ კალსტრიომის წაყვანას ცდილობს, რომლის გადაბირებასაც „ღამურები“ აპირებდნენ. „რეალში“ კალსტრიომმა გამთამაშებლობა უნდა იკისროს.

„ვალენსიამ“ „ლიონს“ ცოტა ხნის წინ 13 მილიონ 500 ათასი ევრო შესთავაზა, მაგრამ ფრანგებმა ცხრით მეტი მოითხოვეს.

## გრძელი გარიგება

**„რასინგის“** სერბი ფორვარდი ნიკოლა ჟიგიჩი ეგებ „ვალენსიაში“ აღმოჩნდეს. აჟლაჟუდა მეგოლე სანტანდერელებმა 22 მილიონ ევროდ შეაფასეს და მისი შეძენით თურქეთის ჩემპიონი „ფენერბაჰჩეცაა“ დაინტერესებული, რადგან მეგოლე თუნჯაი შანლი „მიდლსბროში“ წაუვიდა.

## ლულინიო ინტერისთვის

**„ინტერი“** „მილანთან“ ალეშანდრე პატოს ტრანსფერში დამარცხდა და ახლა სხვა ნიჭიერ ბრაზილიელს მიადგა. ეს გახლავთ „კორინთიანსის“ შემტევი ნახევარმცველი ლულინიო.

TG.COM-ის ცნობით, ინტერელთა სკაუტები ბიჭს მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზე დააკვირდებიან, რომელიც სამხრეთ კორეაში გაიმართება.

## ბეინსი დაადასტურეს

**პრემიერლიგის** „უიგანმა“ დაადასტურა, რომ ლეიტონ ბეინსი „ევერტონს“ 5 მილიონ გირვანქად დაუთმო. ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების მცველმა ერთი კვირის წინ დაიწყო მოლაპარაკება ევერტონელებთან და გუშინ დააგვირგვინა.

„ექვსი ფანტასტიკური წელი გავატარე „უიგანში“ და ძალიან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება“ — თქვა ბეინსმა.

## მგლის მუხლი

**„ვოლფსბურგის“** პორტუგალიელ მცველ რიკარდუ კოშტას მუხლის მყესები გაუწყდა და ექვსი თვით დააკლდება „მგლებს“. 26 წლის ფეხბურთელი გერმანიის თასის მატჩში დაშავდა. კოშტა ამ ზაფხულს ოთხ მილიონ ევროდ იყიდეს. „ვოლფსბურგის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა განაცხადა, რომ სხვა მცველის ყიდვას არ აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უბანშიც და ბარსაშიც ბედნიერი ლეო მესი

**კატალონიური „ბარსელონასა“ და არგენტინის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ ზაფხულის პირველი ორი თვე და შვებულება ნაყოფიერად გაატარა — პრიმერადივიზიონის დასრულების შემდეგ „კოპა ამერიკაზე“ გაემგზავრა, 24 ივლისს ოჯახთან ერთად თავისი მეოცე დაბადების დღე აღნიშნა. მერე ძმებთან, მატიასთან და როდრიგოსთან ერთად ჩინეთში გაემგზავრა, სადაც „პეპსის“ სარეკლამო ღონისძიებებში მონაწილეობდა. ბარსელონაში დაბრუნებამდე კი კვლავ სამშობლოში, კერძოდ, როსარიოში ჩავიდა და ოჯახთან ერთად გაატარა დრო. ამ პერიოდში კინოთეატრშიც იყო „სიმპსონების“ სანახავად და სასტუმროში დიეგო არმანდო მარადონასაც ეწვია...**




— მომავალ სეზონში ტიტულს აუცილებლად მოიგებთ?

— როცა ვინმეს „ბარსელონას“ მაისურა აცვია, უნდა იცოდეს, რომ ყველაფერი უნდა მოიგოს. წინა სეზონში პრიმერადივიზიონში ჩემპიონობა ჩვენით დავკარგეთ. გამოვვარდით ჩემპიონთა ლიგიდან, ესპანეთის თასიდან და დავმარცხდით ევროპის სუპერთასის ფინალში. ამიტომ მომავალ სეზონში ტიტულები უნდა მოვიგოთ და ეს იმიტომაც მოგვეთხოვება, რომ ბრწყინვალე მოთამაშეები დავიმატეთ.

— როგორც ჩანს, ახალწვეულებით ძალიან კმაყოფილი ხართ...

— დიახ, ძალიან. ლამაზი და ეფექტური გუნდი გვყავს.

— თქვენ გაბრიელ მილიტოს ტრანსფერის „თანამონაწილე“ იყავით...

— ამ საკითხზე ცოტა ვილაპარაკეთ „კოპა ამერიკას“ მსვლელობისას, ხოლო როცა ყველაფერი გადაწყდა, მას დიდი სიამოვნებით მივულოცე. გაბრიელი საიმედო მცველია, გამარჯვებულად დაბადებული და ჩვენი საუკეთესო შენაძენია.

— შეეგუეთ იმას, რომ ხავიერ სავიოლა ახლა „რეალის“ მოთამაშეა?

— მინდა, ბედნიერი იყოს. ხავიერი ამას იმსახურებს. ისე მოიქცა, როგორც მისთვის აჯობებდა. იგი ბრწყინვალე ადამიანი და ჩემი მეგობარია, მომენატრება...

— მომავალ სეზონში ლამაზი „ელ კლასიკოები“ უნდა გამოვიდეს — „რეალიც“ და „ბარსელონაც“ ვარსკვლავებით გაივსნენ...

— დიახ, ახლა, როცა ტიერი ანრიც ჩამოვიდა და გვყავს რონალდინიო... ისევე, როგორც მაშინ, როცა „რეალში“ ერთად იყვნენ ზინედინ ზიდანი, რაული და რობერტო კარლოსი. თუმცა „ელ კლასიკო“ ყოველთვის განსაკუთრებული და ლამაზი გამოდის ხოლმე.

— მსოფლიოს რომელ ადგილას გრძნობთ თავს ყველაზე კომფორტულად?

— არგენტინაში, ჩემს უბანში, სადაც მეზობლებს ვიცნობ და სალამომდე ფეხბურთს ვთამაშობდი ხოლმე სკოლის მერე. ხშირად მეკითხებიან, სად გინდათ დასვენება, ყოველთვის ვპასუხობ — ჩემს უბანში. იქ ძალიან ბედნიერი ვარ.

— „კოპა ამერიკას“ ფინალში ბრაზილიასთან მარცხს ისევ განიცდით?

— არ მინდა, ეს ისევ გავიხსენო. კარგად მივდიოდით, ტურნირის მოგებასთან ახლოს ვიყავით და თავს ფავორიტებად ვგრძნობდით, მაგრამ...

— რა მოხდა?

— ცუდად ვითამაშეთ... ბრაზილიამ ჩვენი შეცდომებით კარგად ისარგებლა, აქცენტი დაცვაზე გააკეთა და შეგვბოჭა. მატჩი რომ მორჩა, ძალიან დამწუხრებულნი და განადგურებულნი ვიყავით. ჩვენ დავიმსახურეთ „კოპა ამერიკას“ მოგება...

— დიეგო მარადონამ თქვა, რომ ბრაზილიელებმა „მესიზე ნადირობა“ მოაწყვეს...

— ყველასთან, ვინც ბურთს მიიღებდა, ორი-სამი მეტოქე ჩნდებოდა. ასევე ძალიან იმოქმედა ბრაზილიელთა სწრაფმა გოლმა. წარმოიდგინეთ, ფინალი, რომელსაც ასე ველოდით, წესიერად დაწყებულიც არ იყო, გოლი რომ გავუშვით. ამან ცოტა დაგვაბნია და ხასიათი გაგვიფუჭა.

— ნაკრებში 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებთ?

— დიახ. ვიცი, დიეგოს ვუყვარვარ და ჩემზე სულ კარგად ლაპარაკობს. ეს ძალიან მინდა, მაგრამ თან მაღელვებს, რომ ზურგზე 10 მეწერება. ეს მარადონას მაისურაა და მისნაირი მეტი არავინ იქნება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა დიეგოს ტკბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისთვის. ჩემთვის დიდი პატივი იქნება 10-ნომრიანი მაისურით თამაში. ისე, არგენტინის ღირსებას სხვა ნებისმიერი ნომრითაც დიდი სიამოვნებით დავიცავ. მინდა, უფრო მოვუმატო და ტიტულები მოვიგო.

— დაითვალეთ, რამდენჯერ შეგადარეს მარადონას?

— არ ვიცი, არ დამითვლია. ვფიქრობ, მთავარია, ამას ყურადღება არ მივაქციო და შრომა გავაგრძელო. მინდა, თამაში დავხვეწო და მეტი ვისწავლო. ნამდვილად არ ვიცი, რა იქნება მომავალში.

— რობერტო აიალას ნაკრებიდან წასვლა ალბათ არ გესიამოვნათ...

— „თაგვი“, როგორც მას ვეძახით, ყველასთვის სამაგალითო იყო. აიალამ ნაკრებისთვის ბევრი გააკეთა. მის გვერდით ყოფნა და გამოცდილების შეძენა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ასევე დამეხმარა ხუან სებასტიან ვერონი, მასაც ვკითხე რჩევები. ასეთი მოთამაშეების გვერდით იცვლები, იზრდები... აიალა იმსახურებდა, თასი აეწია და ისე წასულიყო. ყველანი ძალიან ვცდილობდით, ასე მომხდარიყო, მაგრამ...

— გაიხსენეთ მომენტი, როცა თქვენი ერთ-ერთი ფანი გოგონა ტრიბუნიდან ჩამოხტა თქვენთან მოსასვლელად...

— საშინელება იყო. ძალიან შემეშინდა, მეგონა, მან სერიოზული დაზიანება მიიღო. ვუყვიროდი, არ გინდა, არ გინდა-მეთქი, მაგრამ იგი მაინც გადმოხტა. საერთოდ, როგორც ყოველთვის, „კოპა ამერიკაზეც“ ყველგან თან დაგვყვებოდნენ გულშემატკივრები.

— ოლიმპიადაზე წახვალთ?

— ოლიმპიადაზე სიამოვნებით ვითამაშებდი, ეს ჩემთვის დამატებითი გამოცდილების და სხვა სპორტსმენებთან ერთად ყოფნის შანსი იქნებოდა. თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ცოტა ადრეა.

— „ბარსელონაში“ რჩებით?

— დიახ. მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, „ბარსადან“ არასდროს წავიდოდი. კლუბში მართლაც ბრწყინვალე ატმოსფეროა. „ბარსაში“ თავს ჩინებულად ვგრძნობ, ყველაფერი მაქვს და სხვა გუნდში თამაშს არ ვაპირებ.

— მომავალ სეზონში კატალონიურად ილაპარაკებთ?

— რომ გადამეწყვიტა, მხოლოდ კატალონიურად ვილაპარაკებ-მეთქი, პრობლემა არ იქნებოდა, შევძლებდი. თუმცა რადგან ეს აუცილებელი არ არის და ნებაყოფლობითია, ზოგჯერ ვილაპარაკებ და ზოგჯერ არა.

— მარადონამ თქვა, რომ სურს, „ბოკა ხუნიორსში“ ითამაშოთ...

— დიახ, წავიკითხე. ყველამ იცის, რომ გულით „ნიუელზ ოლდ ბოისში“ ვარ და ერთ მშვენიერ დღეს მინდა, არგენტინის ჩემპიონატში თამაშიც მოვსინჯო. თუმცა ახლა „ბარსელონაში“ ძალიან ბედნიერი ვარ და კლუბის დატოვებას არ ვაპირებ.

# პატარა პატო დიდ ალყაში

**მილანში** ჩასული ალეშანდრე პატო ჟურნალისტებმა და ფოტოკორესპონდენტებმა ალყაში მოაქციეს.

— „მილანში“ თამაშზე ვოცნებობდი და ამიხდა“ — თქვა 17 წლის ბრაზილიელმა, რომელიც იტალიაში „შავ-წითლების“ გენერალურმა დირექტორმა არიედო ბრაიდამ ჩაიყვანა. მის სანაცვლოდ კლუბმა დაახლოებით 10 მილიონი გირვანქა გადაიხადა. პატო 18-ისა 2 სექტემბერს შესრულდება და 2008 წლის იანვრამდე მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრებში ითამაშებს.

„მილანში“ გადასვლაზე ფიქრობს „რეალის“ ბრაზილიელი ჟულიო ბაპტისტაც, რომელიც მადრიდიდან წასვლას უარობდა. მან ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ბერნდ შუსტერს ესაუბრა და ნდობა მოიპოვა, მაგრამ გუშინ აზრი შეიცვალა — ბაპტისტა უკმაყოფილოა, რადგან გერმანელი სეზონისწინა მატჩებში არ ათამაშებს.

იტალიური მედიის ცნობით, „მილანს“ ადრეც უთქვამს, რომ ბაპტისტას შეძენა სურს და კვლავაც ეცდება, მეტსახელად „მხეცის“ გადაბირებას, რომლის ფასიც 12 მილიონი გირვანქაა.

ჟულიო ბაპტისტა „რეალს“ ეკუთვნის და წინა სეზონი ლონდონის „არსენალში“ გაატარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნაბიჯი რომისკენ

**სისინიო** „რომას“ მოუახლოვდა, ხოლო შაბანი ნონდას დარჩენა სურს — წერს იტალიური მედია.

ბრაზილიელმა მცველმა სისინიომ ერთი კვირის წინ რომაელთა შეთავაზებაზე უარი თქვა და კარიერის „რეალში“ გაგრძელება ინდომა, მაგრამ მოსკოვში, „ლოკომოტივთან“ მატჩში, ბერნდ შუსტერმა არ ათამაშა და ფეხბურთელს აწყენინა. გაზეთ „რომანისტას“ ცნობით, ბრაზილიელს ისევ აუცრუვდა გული „რეალზე“ და რომისკენ იყურება, სადაც ძირითად შემადგენლობაში თამაშს ჰპირდებიან.

ამასობაში კი კონგოელმა თავდამსხმელმა ნონდამ განაცხადა: „აქ დარჩენა მინდა. ტრავმა მოვიშუშე, თავს უკეთ ვგრძნობ და ქომაგები სულ სხვა ნონდას ნახავენ“.

ნონდა 2005-ში იყიდეს „მონაკოსგან“ და 15 მატჩში 4 გოლის გაიტანა. გასულ სეზონში „ბლექბერნში“ გაანათხოვრეს, სადაც 26 შეხვედრაში 7 შეაგდო.

„ვიცი, რომ დიდი კონკურენციაა და სასტარტოში მოხვედრა იოლი არ იქნება, მაგრამ საბრძოლველად მზად ვარ“ — თქვა კონგოელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ტოშიჩის მუსიკა

**სერბეთის** ნაკრების და „სოშოს“ მცველმა დუშკო ტოშიჩმა ბრემენის „ვერდერთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელს სამჯერ უთამაშია ეროვნული ნაკრებში, ხოლო ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე, რომელიც ივნისში ჰოლანდიაში გაიმართა, ფინალში გავიდა და მასპინძლებთან დამარცხდა.

— „ვერდერი“ იმიტომ ავირჩიე, რომ ამით კარიერაში ნაბიჯი წინ გადავდგი. დარწმუნებული ვარ, აქ უკეთესად გავიზრდები, როგორც ფეხბურთელი“ — თქვა ტოშიჩმა.

## ბიელსა გაახსენდათ

არგენტინელ მარსელო ბიელსას ჩილეს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს.

„მისგან მხოლოდ თანხმობის მიღება გვსურდა. წელიწადნახევრიან კონტრაქტზე ვისაუბრეთ ორი საათის განმავლობაში და უმთავრესი პირობა მსოფლიოს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა იყო“ — თქვა პრეზიდენტმა ჰაროლდ მეინ-ნიკოლსმა.

ბიელსას 2004 წლის სექტემბრის შემდეგ არ უმუშავია...

## რიკელმე ათ დღეში

**ხუან რომან რიკელმე** კარიერის გაგრძელებას „ბოკა ხუნიორსში“ აპირებს, თქვა კლუბის აღმასრულებელმა შეფმა.

„რიკელმე აქ დარჩება და ამის შესახებ ოფიციალურად ათ დღეში გამცნობთ“ — განაცხადა ხუან კრესპომ.

რიკელმე „ვილიარეალს“ ეკუთვნის და „ბოკაში“ განათხოვრებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა









VS



# პოეზიის ხუთი წუთი

**რუსეთი** ეძახეთ და... თუმცა, მოდით, ბრაზილიით დავიწყოთ, სამხრეთის ქვეყანაა, მაინც.

ამ რამდენიმე წლის წინ, ბრაზილიის ერთ-ერთმა გუნდმა ცუდი თამაშით თავისი გულშემატკივარი გააბრაზა და გულშემატკივარმაც მყის მოიფიქრა პროტესტის ფორმა: ხალხი სტადიონზე ჩვეულებრივ მივიდა, ოღონდ მოედნისკენ ზურგით დაჯდა და მთელი თამაშის განმავლობაში ასე იჯდა.

საქართველოში...

...ახლა კი რუსეთისა ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, სულ რაღაც 17 წლის წინ ერთი ქვეყანა ვიყავით და ბევრი ვინტი ერთნაირად გვაქვს მოჭერილი.

რუსთ პირველობის პირველ წრეში, სანკტ პეტერბურგში, „ზენიტის“ ქომაგებმა მოსკოვის დინამოელებს დიდი ლავრენტი ბერია დაუხატეს და მიაწერეს: „თქვენ დღემდე მისი ცოდვებისთვის მოგეკითხებათ“.

მოგეხსენებათ, სპორტსაზოგადოება „დინამო“ ენ-კა-ვე-დესი იყო, ამ საშინელ კომისარიატს კი ერთი ხანობა პავლოვიჩი ხელმძღვანელობდა.

მეორე წრეში მოსკოველთა პასუხმა არ დაიგვიანა. გასულ შაბათს მასკვიჩებმა „ზენიტს“ ქსენია სობჩაკის სურათი გამოუფინეს და მიაწერეს: „ამის ცოდვებს კი თქვენ ვერასოდეს მოინანიებთ“.

ხომ იცით, ვინ არის ქსენია ანატოლიევნა? იმ ანატოლი სობჩაკის ქალიშვილი, ლენინგრადის პირველი არჩეული მერი რომ იყო და უმაღლეს საბჭოში თავისი კომისით 9 აპრილის ამბავს იძიებდა. ჰოდა, ეს ქსიუშა დიდი აშვებული ვინმეა, თან ისეთი, ფული რომ აქვს და ამ თავის აშვებულობას ტელეშოუდ რომ აქცევს. მოკლედ, „მაგარი პეტერბურგელი გოგოა“, რომელსაც ამასწინათ „იურმალა 2007“ მიჰყავდა და ასე შემდეგ.

ხოლო საქართველოში...

საქართველოში — როგორც პოეტი იტყოდა — იბადებოდნენ...

**ბაჩუნა ბედია**

# რა უბედურებაა?



**„ინტერში“** ვერდამკვიდრებული ფრანჩესკო კოკო „სენტ ეტიენშიც“ არ მიიღეს. 30 წლის იტალიელი მცველის გადასვლა ფრანგულ კლუბში გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ეტიენელთა ექიმებმა ფეხბურთელს ჯანი დაუწუნეს და კონტრაქტი ჩაიშალა.

„ჩვენ შევამოწმეთ კოკოს ჯანმრთელობა, რამდენიმე ტესტიც გაიარა, მაგრამ სათანადო ფორმაში არაა. ამიტომ უარს ვამბობთ მასზე და სხვას მოვძებნით“ — განაცხადა „მწვანეების“ შეფმა ლორენ რუსემ.

ფრანჩესკო კოკომ ეს რომ შეიტყო, გაცოფდა: „რა უბედურებაა? ჩემთვის პირადად არავის უთქვამს, რომ ცუდ ფორმაში ვარ. „სენტ ეტიენისგან“ ასეთი საქციელი უპატივცემულობაა. არანაირი პრობლემა არ მაქვს და ორ კვირაში საუცხოო კონდიციაში ვიქნები. რაც უნდა იყოს, ჩემზე უკეთესს ვერავის მიიყვანენ.“

ფეხბურთელს 2000-2002 წლებში იტალიის ნაკრებში 17 მატჩი უთამაშია, მაგრამ ტრავმებით დატანჯულმა კოკომ მხოლოდ „სკუადრა ამურაში“ კი არა, კლუბშიც დაკარგა ადგილი და ახალ გუნდს ეძებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ხმა კატანიადან: გვჩაგრავენ!

**„კატანიას“** ფეხბურთელები: არმანდო პანტანელი, მატია ბიზო და ჯანლუკა ფალსინი კლუბს ძალადობაში და დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ. სამივე ტრანსფერზეა დაყენებული და ცალკე სასტუმროში დააბინავეს. თან აიძულებენ, სხვა გუნდთან ერთად ივარჯიშონ. ამის შესახებ მათმა ადვოკატმა მატია გრაციანიმ განაცხადა.

„კატანია“ ბრალდებას უარყოფს და ამტკიცებს, რომ არაფერი დაუშავებია.

„სამეულს რეგულარულად ავარჯიშებს კლუბის ერთ-ერთ მოედანზე ჩვენი მწვრთნელი — თქვა სიცილიური კლუბის მენეჯერმა პიეტრო ლო მონაკომ — მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტები გავუწვეტეთ და გაყიდვას ვუპირებთ, არაფრის კეთებაში ჯამაგირს მაინც ვუხდით“.

ნახევარმცველი მატია ბიზო „კატანიაში“ 2006 წლის იანვარში „ასკოლიდან“ მივიდა და 15 მატჩი ითამაშა. მეკარე პანტანელიმ ორი სეზონი გაატარა კატანიელებთან და პირველი ნომერი იყო, ხოლო ფალსინი ექვსი თვის წინ გადაიყვანეს „სიენადან“ და მხოლოდ ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ორნი ოსასუნაში

**„ოსასუნამ“** ჩილელი ფორვარდი ნიკოლას მედინა „უნივერსიდადიდან“ შეიძინა და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

20-წლამდელთა ნაკრების წევრს პამპლონურ კლუბში დიდი კონკურენცია ელის, რადგან იქ უკვე არიან ვალტერ პანდიანი და ხავიერ პორტილიო. გუნდიდან კი არგენტინელი თავდამსხმელი ბერნარდო რომეო მიდის, რომელსაც სამშობლოში „სან ლორენსო“ ეპატიჟება.

გარდა ამისა, „ოსასუნამ“ „არსენალიდან“ ერთი სეზონით ითხოვა მექსიკელი კარლოს ველა.



ნიკოლას მედინა

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბრაზილია

### სერია A. XVII ტური

გრემიო — სან პაულუ 0:2; პარანა — ბოტაფოგო 0:0; ვასკუ და გამა — ფიგეირენსე 2:2;

## მექსიკა

### აპერტურა. 1 ტური

პუმასი — გვადალახარა 1:1; ნეკაქსა — მონტერეი 3:2

## პერუ

### კლაუსურა. III ტური

სპორტინგი — სან მარტინი 1:1; კუსკო — სპორტი 2:1

## არგენტინა

### აპერტურა. 1 ტური

ურაკანი — არსენალი 1:1

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. 1 ტური

ბოჰემიანსი — ბანიკი 0:2; ბრნო — ზლინი 0:0; მოსტი — პლზენი 1:1; ბუდეიოვიცე — სიგმა 2:0; კლადნო — ტეპლიცე 0:2; იაბლონეცი — სლავია 0:1; ბოლესლავი — ჟიჟკოვი 0:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაზილიელის თავგადასავალი რუსეთში და... აქაც რეალი?!



**კარლო ანჩელოტი გაოგნებული უყურებდა კაკას, რომელიც „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტებს ესაუბრებოდა სასტუმრო „რიც კარლტონის“ მეორე სართულზე. „მილანის“ შეფებმა კატეგორიულად აუკრძალეს მოსკოვში ჩასულ ფეხბურთელებს ინტერვიუების დარიგება, მაგრამ ექსპრესელებისთვის გამონაკლისი დაუშვეს. კაკას საუბარს ესწრებონენ ვიტორიო მენტანა („მილანის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების შეფი) და პრესატაშე პიპო საპიენტა, რომელმაც ინტერვიუს დასრულებისთანავე ტექსტი მილანში კლუბის დირექტორებს გაუგზავნა. მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოსკოვში გაიმართება — ამჟამინდელი სტუმრობა ეგებ კარგი ნიშანი იყოს...**

— ჯერ ადრეა გაზაფხულამდე და რამდენადაც ვიცი, ფინალი სხვა სტადიონზე იქნება და არა იმაზე, რომელზეც ეს ტურნირი ჩავატარეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსკოვში ჩამოსვლას და ფინალში თამაშს ვისურვებდი. შარშან სეზონისწინა შეკრება ათენში გავიარეთ და ორი თვის წინ ისევ იქ დავბრუნდით, რათა ჩემპიონთა თასი მოგვეგო. ჩემი თანაგუნდელები ყაბულს არიან, რომ რუსეთშიც ბერძნული ვარიანტი განმეორდეს.

**— რას ნიშნავს თქვენთვის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება?**

— ასეთი წარმატებები წარუშლელ კვალს ტოვებენ, რადგან ამ თასის მომგები ნებისმიერი კლუბი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შედის. გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის სიტყვით აღწერა შეუძლებელია.

**— თავი „მილანის“ ისტორიის ნაწილად მიგაჩნიათ?**

— სრული უფლება მაქვს, რომ ასე ჩავთვალო. ათენამდე მხოლოდ „სკუდეტო“ მქონდა მოგებული, ახლა კი ჩემპიონთა თასიც მივამატე. მერწმუნეთ, ეს ძალიან ძვირფასი რამაა, რადგან ლიგის ბომბარდირიც გავხდი.

**— შვებულება როგორ გაატარეთ?**

— ყოველდღიურ რია-რიას მოვწყდი და ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ძალიან კარგად დავისვენე. ახალი სეზონისთვის ენერგიით დავიტვირთე.

**— სანამ თქვენ ნებივრობდით, მსოფლიოს სპორტული მედია კაკას „რეალში“ გადასვლაზე წერდა და ლაპარაკობდა...**

— ვცდილობ, ამას ყურადღება არ მივაქციო. არ ვკითხულობ და არ ვუსმენ. ერთნი ლაყბობენ, მეორენი წერენ, მე კი, როგორც ხედავთ, თქვენ წინაშე „მილანის“ მაისურით ვდგავარ. ჩემთვის მთავარია, პატიოსნად და ალალად ვაკეთო ის, რაც მევალება, ხოლო მომავალზე მკითხაობა არ მინდა.

**— „მილანში“ ბევრი ბრაზილიელია. რამდენად დაგეხმარნენ ისინი ახალმისულს და ახლა როგორი გავლენა აქვთ თქვენზე?**

— ისე დამეხმარნენ, რომ აქ ცხოვრება გამიადვილეს და გუნდშიც იოლად ჩავეწერე. „მილანში“ საუცხოო ვითარებაა და კმაყოფილი ვარ ფეხბურთელებთან ურთიერთობით.

**— მალე კიდევ ერთი ბრაზილიელი, ალეშანდრე პატო დაგემატებათ. რა იცით მის შესახებ?**

— პატოს სულ რამდენიმე მატჩი მინახავს, მაგრამ ესეც საკმარისი იყო საიმისოდ, რათა მის ნიჭში დავრწმუნებულიყავი. დანარჩენი კი თვითონ ბიჭზეა დამოკიდებული.

**— კარლო ანჩელოტიმ პატოზე თქვა, ათბალიანი სისტემით თუ შევაფასებთ, უმაღლეს ქულას იმსახურებსო...**

— ჩვენი მწვრთნელის ინტუიციის მჯერა, რაკი ასე თქვა, ასეც იქნება.

**— ამბობენ, ეს ბიჭი ახალი კაკა გახდებაო. კონკურენციის არ გეშინიათ?**

— ამის არასოდეს მეშინია, თან პატო ფორვარდია, მე კი — ნახევარმცველი.

**— სამაგიეროდ, სხვა რამ გაქვთ საერთო: ორივე შეძლებული ოჯახის შვილები ხართ, რაც ბრაზილიელ ფეხბურთელებში იშვიათობაა...**

— არ ვიცნობ პატოს ცხოვრებას, მაგრამ მსმენია, რომ მის მშობლებს არ უჭირთ. ჩემთვის კი, არაერთხელ მითქვამს, ოჯახი უწმინდესია.

**— იტალიაში პატოს „მილანის“ ერთადერთ ახალწვეულად ასახელებენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ თქვენთანაა რონალდოც, რომელიც იანვარში იყიდა კლუბმა და ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაიხმარა...**

— რონალდო სუპერფეხბურთელია და ის, რომ სეზონის დასაწყისიდანვე ითამაშებს ყველა ტურნირში, დიდი პლუსია ჩვენთვის. ფაქტობრივად, ფარული შენაძენია.

**— გული არ გწყდებათ, რომ მოსკოვში „რეალს“ არ შეხვდით?**

— ალბათ, ბედს არ სურდა ჩვენი გზების გადაკვეთა. სამწუხაროდ, პირველი მატჩი წავაგეთ და მადრიდელებს ავცდით.

**— „მილანისა“ და „რეალის“ გზები აეროპორტში მაინც გადაიკვეთა და თქვენ მადრიდელების ავტობუსით წასვლას აპირებდით...**

— აჭარბებთ! ასე არ ყოფილა. აეროპორტში იმდენი ხალხი ტრიალებდა, რომ ბიჭებს შეგვეშალა და სხვა ავტობუსში ავედით. მალევე მივხვდით შეცდომას და ბევრი ვიცინეთ.

**— კარლო ანჩელოტის კი, ალბათ, არ ეხუმრება, რადგან თითქმის ყოველდღე ესმის, რომ შესაძლოა, კაკა გაყიდონ...**

— მწვრთნელსაც უყვარს ხუმრობა. „რეალის“ ავტობუსიდან ჩამოსულს მითხრა, ბოლოს და ბოლოს, იპოვე ის გუნდი, რომელსაც ეძებდიო.

**— როგორია მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავობა?**

— ძალიან კარგი. ვფიქრობ, რომ შრომით და საქმისადმი დამოკიდებულებით შევქმენი ის, რაც ახლა მაქვს. ჩემი წარმატების საიდუმლო შრომისმოყვარეობაა, მხოლოდ ნიჭით შორს ვერ წახვალ.

**— სხვა ვარსკვლავების თამაშს თუ უყურებთ ხოლმე და ვინ მოგწონთ?**

— მესი, კრიშტიანუ რონალდუ, ანრი, იბრაჰიმოვიჩი და რონალდო. როცა დრო მაქვს, ამ ბიჭების ფეხბურთით ვტკბები.

**— რომელი გუნდები მიგაჩნიათ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად?**

— „ბარსელონა“, „ინტერი“, „რეალი“ და, რა თქმა უნდა, „მილანი“. ჩემპიონთა თასის შვიდჯერ მომგები გუნდის ჩამოწერა არ ეგების. ერთი მხრივ, ეს ფაქტი დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, მეორე მხრივ, მეტოქესაც ცოტათი თრგუნავს.

**— ჩემპიონთა ლიგის მოგებამ თქვენი ცხოვრება შეცვალა? ეს კარიერის მწვერვალია?**

— დიახ, მწვერვალია. ერთია, იყო კარგი ფეხბურთელი, მეორე — იყო კარგიც და ჯილდოების მომგებიც. ტიტულები ბევრ რამეს ცვლის. 25 წლის ვარ და უკვე მოვიგე მსოფლიო ჩემპიონატი, სკუდეტო და ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ მაინც მეცოტავება და კიდევ მწყურია.

**— რას იტყვით სერია A-ში დაბრუნებულ „იუვენტუსზე“?**

— ძალიან კარგია, რომ დაბრუნდა. სერია A „იუვეს“ გარეშე ანომალიაა. ცოდვები მოინანიეს და ყველას გვიხარია მათი ამოსვლა სერია B-დან. ვფიქრობ, თავიდანვე ჩაებმებიან საჩემპიონო ბრძოლაში.



# მარჩელო ლიპის ევროფავორიტები

**2006 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის და სხვა მრავალი ტიტულის მომგებმა მარჩელო ლიპიმ „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში სხვადასხვა გრანდების სატრანსფერო პოლიტიკა გაარჩია და მომავალ სეზონზე პროგნოზები გააკეთა. მისი აზრით, ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები „ბარსელონა“ და „ინტერი“ იქნებიან.

„ამ მომენტისთვის ორი გუნდია, რომლებსაც ფანტასტიკური ფეხბურთის თამაში შეუძლიათ“ — „ბარსელონა“ და „ინტერი“. მათ მთელი ევროპა ხელში უჭირავთ და, ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები არიან. ტიერი ანრი ერთ-ერთი ის ჩემპიონია, რომელსაც მატჩში და მთლიანად გუნდში გარდატეხის შეტანა შეუძლია. გადახედეთ „ბარსას“ თავდასხმას — ანრი, ლეო მესი, რონალდინიო და სამუელ ეტოო... ეს სიგიჟეა. რაც შეეხება „ინტერს“, დავიდ სუაზო მილანელთათვის ისეთივე მნიშვნელოვანი შენაძენია, როგორც ანრი კატალონიელთათვის. ზუსტად იგი სჭირდებოდა „ნეროაძურის“ თავდასხმის ბოლომდე შესაკვრელად. სუაზო არამხოლოდ სწრაფია, არამედ სხვა კარგი თვისებებიც აქვს და რობერტო მანჩინიმ ეს დაინახა“ — თქვა ლიპიმ.

შემდეგ იგი „მანჩესტერ იუნაიტედზე“ გადაერთო: „ჩემმა მეგობარმა ალექს ფერგიუსონმა კარგად გააანალიზა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „მილანთან“ მარცხი და თავისი გუნდი გააძლიერა. მან ოუენ ჰარგრივსი, კარლოს ტევესი, ანდერსონი და, რაც მთავარია, ნანი მოიყვანა, რომელიც, ჩემი აზრით, ბრწყინვალეა“.

„მანჩესტერ სიტის“ ახლა ინგლისის ნაკრების ექსთავკაცი სვენ გორან ერიკსონი წვრთნის, რომელმაც უკვე არაერთი საინტერესო ტრანსფერი გაჩარხა.

„ვფიქრობ, „სიტი“ საინტერესო გუნდი იქნება. თავდასხმაში როლანდო ბიანკისა და ვალერი ბოჟინოვის წყვილი პრემიერლიგას თავის დაღს დაასვამენ“ — აღნიშნა ლიპიმ.

„მილანი“ ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე უჩვეულოდ მშვიდი გახლდათ. „როსონერიმ“, ფაქტობრივად, მხოლოდ ახალგაზრდა ვარსკვლავი ალეშანდრე პატო შეიძინა. თანაც, მას იანვრამდე თამაშის უფლება არ ექნება.

მარჩელო ლიპი: „პატო უდავოდ ძალიან ნიჭიერია, მაგრამ მას კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი და მომავლის ფეხბურთელია“.

გამოცდილმა ტაქტიკოსმა ორი სიტყვა „რომაზე“, „ლაციოზე“ და „ფიორენტინაზეც“ თქვა: ვიტყოდი, „რომა“ ისეთივე მაღალი კლასის გუნდი იქნება, როგორიც იყო, განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა. თუმცა „გლადიატორებმა“ დაიმატეს ლუდოვიკ ჟიული, მაურო ესპოზიტო და აჰმედ ბარუსო, რომელმაც პირლია დამტოვა, როცა სერია B-ში „რიმინიში“ მისი თამაში ვნახე. „ლაციოს“ თითქმის არაფერი შეუცვლია. „ბიანკოჩელესტიმ“ წამყვანი მოთამაშეები შეინარჩუნა და რამდენიმე იმედისმომცემი ახალგაზრდა დაიმატა. ძალიან მაინტერესებს, როგორ ითამაშებს მეკარე კარიცო. ასევე მომწონს და მაინტერესებს „ფიორენტინას“ აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე“.

განსაკუთრებით კი ლიპის ალბათ თავისი ყოფილი გუნდის, ტურინის „იუვენტუსის“ ამბები აღარდებს, სადაც მომავალში, შესაძლოა, კიდევ ერთხელ დაბრუნდეს, ყოველ შემთხვევაში, იტალიური პრესის ვარაუდით.

„იცით, ვინ არიან „იუვენტუსის“ საუკეთესო შენაძენები? — კითხულობს ლიპი და თავადვე პასუხობს — ჯანლუიჯი ბუფონი, ალესანდრო დელ პიერო, პაველ ნედვედი და მაურო კამორანეზი. გუნდმა ეს ოთხი ლიდერი შეინარჩუნა და თუ მათ კარგი სეზონი ექნებათ, ახალწვეულებიც კარგად ითამაშებენ, სხვანაირად არ გამოვა. გარდა ამისა, „იუვენტუსის“ სატრანსფერო კამპანია ჯერ არ დამთავრებულა“.

დაბოლოს, არის ერთი ფეხბურთელი რომელიც ლიპის ძალიან მოსწონს და „ბებერ ქალბატონს“ მის ყიდვას ურჩევს...

„ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი რიკარდუ კვარესმაა. როცა მწვრთნელობას დავუბრუნდები, ყველაფერს გავაკეთებ მის ხელში ჩასაგდებად. კვარესმას ძალუძს, ნებისმიერი გუნდის სათამაშო კლასი ერთი საფეხურით წინ წასწიოს“ — დასძინა სიგარის მოყვარულმა სპეციალისტმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სარბიელის პროექტი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 1 | არსენალი-ფულემი | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 15:45 | 2 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 18:00 | 3 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 4 | დერბი-პორტსმუთი | 2.60 | 3.15 | 2.40 | 1.42 | 1.24 | 1.36 |
| 18:00 | 5 | ევერტონი-უიგანი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 18:00 | 6 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 7 | ვესტ ჰემი-სიტი | 1.85 | 3.15 | 3.60 | 1.16 | 1.22 | 1.67 |
| 20:15 | 8 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3.65 | 3.20 | 1.85 | 1.70 | 1.22 | 1.17 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 9 | ჩელსი-ბირმინგემი | 1.15 | 5.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 3.94 |
| 19:00 | 10 | მანჩესტერი-რედინგი | 1.20 | 4.80 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.42 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 11 | ბარნსლი-ქოვენთრი | 2.40 | 3.15 | 2.55 | 1.36 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 12 | ბრისტოლი-ქპრ | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 13 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.50 | 3.20 | 2.30 | 1.40 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 14 | კარდიფი-სტოკი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 15 | ჩარლტონი-სკანთორპი | 1.45 | 3.50 | 6.40 | 1.02 | 1.18 | 2.26 |
| 18:00 | 16 | პალი-პლიმუთი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 17 | იფსვიჩი-უენსდი | 2.10 | 3.15 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.50 |
| 18:00 | 18 | ლესტერი-ბლეკპული | 1.60 | 3.40 | 4.25 | 1.08 | 1.16 | 1.88 |
| 18:00 | 19 | პრესტონი-ნორვიჩი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 18:00 | 20 | შეფილდი-კოლჩესტერი | 1.50 | 3.50 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.05 |
| 18:00 | 21 | საუთჰემპტონი-კრისტალ პალასი | 1.70 | 3.30 | 4.00 | 1.12 | 1.19 | 1.80 |
| 20:20 | 22 | ვულვერჰემპტონი-უოტფორდი | 2.00 | 3.15 | 3.20 | 1.22 | 1.23 | 1.58 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 23 | ჩელტენემი-ჯილინგემი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 18:00 | 24 | ქრიუ-ბრაიტონი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 25 | დონკასტერი-მილუოლი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 18:00 | 26 | ჰადერსფილდი-იოვილი | 2.15 | 3.00 | 2.90 | 1.25 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 27 | ლუტონი-ჰარტლპული | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |
| 18:00 | 28 | ნორთჰემპტონი-სუინდონი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 29 | ნოტინგემი-ბორნმუთი | 1.55 | 3.30 | 5.85 | 1.05 | 1.22 | 2.10 |
| 18:00 | 30 | ოლდემი-სუონსი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 31 | პორტ ვეილი-როვერსი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 32 | საუთენდი-ლეიტონი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 18:00 | 33 | ტრანმერი-ლიდსი | 2.30 | 3.25 | 2.50 | 1.34 | 1.19 | 1.41 |
| 18:00 | 34 | უოლსოლი-კარლაილი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 35 | ბრედფორდი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.45 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.95 |
| 18:00 | 36 | ბრენტფორდი-მენსფილდი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 37 | ჩესტერი-ჩესტერფილდი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 38 | დარლინგტონი-რექსემი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 39 | გრიმსბი-ნოტსი | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 40 | ჰერეფორდი-როტერჰემი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 41 | ლინკოლნი-შრიუსბერი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 18:00 | 42 | დონსი-ბერი | 1.55 | 3.40 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.02 |
| 18:00 | 43 | მორიკომბი-ბარნეტი | 2.05 | 3.20 | 2.95 | 1.24 | 1.20 | 1.53 |
| 18:00 | 44 | პიტერბრო-როჩდეილი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 18:00 | 45 | სტოკპორტი-დაგ ენდ რედი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 46 | უიკომბი-აკრინგტონი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 428 | ალტრინჰემი-ექსეტერი | 2.50 | 3.25 | 2.30 | 1.41 | 1.19 | 1.34 |
| 18:00 | 429 | ქროული-სტივენეიჯი | 2.60 | 3.20 | 2.25 | 1.43 | 1.20 | 1.32 |
| 18:00 | 430 | დროილსდენი-სალისბერი | 2.20 | 3.25 | 2.70 | 1.31 | 1.21 | 1.47 |
| 18:00 | 431 | ებსფლითი-ნორთვიჩი | 2.00 | 3.30 | 2.90 | 1.24 | 1.18 | 1.54 |
| 18:00 | 432 | ფარსლი-სტ.რეინჯერსი | 2.25 | 3.20 | 2.60 | 1.32 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 433 | ჰისტონი-ბარტონი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 18:00 | 434 | კიდერმინსტერი-ალდერშოტი | 2.10 | 3.20 | 2.80 | 1.26 | 1.20 | 1.49 |
| 18:00 | 435 | ოქსფორდი-ფორესტ გრინი | 1.50 | 3.50 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.05 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 436 | ტორკი-გრეისი | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 18:00 | 437 | ვეიმუთი-ჰალიფაქსი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 18:00 | 438 | უოკინგი-რაშდენი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 439 | იორკი-კემბრიჯი | 1.85 | 3.20 | 3.40 | 1.17 | 1.19 | 1.64 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 98 | დიუსელდორფი-ესენი | 2.20 | 3.00 | 2.80 | 1.26 | 1.23 | 1.44 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 440 | თუნი-სიონი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 426 | ზლატე მორავცე-კოშიცე | 2.20 | 2.90 | 2.85 | 1.25 | 1.24 | 1.43 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 235 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 269 | მალმიო-ჰელსინგბორგი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 379 | ბეითარი ჯ-კოპენჰაგენი | 2.20 | 2.90 | 2.80 | 1.25 | 1.23 | 1.42 |
| 22:15 | 380 | დინამო ზ-დომჟალე | 1.30 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.39 |
| 21:30 | 381 | ელფსბორგი-დებრეცენი | 1.45 | 3.30 | 5.60 | 1.00 | 1.15 | 2.07 |
| 21:30 | 383 | ლევსკი-ტამპერე | 1.20 | 4.20 | 8.40 | 1.00 | 1.04 | 2.79 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 378 | ბატე-ჰაფნარფიორდური | 1.40 | 3.50 | 5.50 | 1.00 | 1.11 | 2.13 |
| 19:00 | 382 | ლევადია-ცრვენა ზვეზდა | 4.60 | 3.20 | 1.55 | 1.88 | 1.15 | 1.04 |
| 22:45 | 384 | რუსენბორგი-ასტანა | 1.11 | 5.65 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.61 |
| 22:30 | 385 | ზალცბურგი-ვენტსპილსი | 1.10 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 21:30 | 386 | სარაევო-გენკი | 2.50 | 2.80 | 2.40 | 1.32 | 1.22 | 1.29 |
| 21:00 | 387 | შახტარი-პიუნიკი | 1.10 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 21:00 | 388 | შერიფ ტირასპოლი-ბეშიქთაში | 3.80 | 3.10 | 1.70 | 1.70 | 1.17 | 1.09 |
| 22:45 | 389 | სლავია-ჟილინა | 1.45 | 3.40 | 5.10 | 1.01 | 1.12 | 2.03 |
| 21:30 | 390 | სტიაუა-ზაგლებე ლ | 1.20 | 4.20 | 8.40 | 1.00 | 1.04 | 2.79 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 393 | დანდი-მორტონი | 1.65 | 3.50 | 3.80 | 1.12 | 1.15 | 1.82 |
| 22:30 | 394 | ფორფარი-პიტერჰედი | 2.95 | 3.40 | 1.85 | 1.57 | 1.13 | 1.19 |
| 22:30 | 395 | ქუინი-ალოა | 1.95 | 3.40 | 2.75 | 1.23 | 1.14 | 1.52 |
| 22:45 | 396 | ბერიკი-სტენჰაუზმური | 1.55 | 3.70 | 4.50 | 1.09 | 1.15 | 2.03 |
| 22:45 | 397 | ბრეჩინი-სტირლინგი | 2.60 | 3.45 | 2.10 | 1.48 | 1.16 | 1.30 |
| 22:45 | 398 | კლაიდი-რეითი | 1.80 | 3.40 | 3.20 | 1.17 | 1.15 | 1.64 |
| 22:45 | 399 | კოუდენბითი-დამბარტონი | 1.65 | 3.50 | 3.70 | 1.12 | 1.14 | 1.79 |
| 22:45 | 400 | ჰამილტონი-ისტ სტირლინგი | 1.13 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.02 | 3.88 |
| 22:45 | 401 | ლივინგსტონი-ეარი | 1.65 | 3.50 | 3.70 | 1.12 | 1.14 | 1.79 |
| 22:45 | 402 | როსი-ელგინი | 1.20 | 5.00 | 8.40 | 1.00 | 1.04 | 3.13 |
| 22:45 | 403 | სტრანრარი-მონტროუზი | 1.60 | 3.70 | 4.00 | 1.11 | 1.14 | 1.92 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 404 | ისტ ფაიფი-ქუინი | 3.25 | 3.50 | 1.75 | 1.68 | 1.13 | 1.16 |
| 22:30 | 405 | პარტიკი-ერდრი | 1.60 | 3.60 | 4.10 | 1.10 | 1.15 | 1.91 |
| 22:45 | 406 | არბროთი-ალბიონი | 1.60 | 3.65 | 4.20 | 1.11 | 1.15 | 1.95 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 409 | ამკარი-ტერეკი | 1.70 | 3.10 | 4.30 | 1.09 | 1.21 | 1.80 |
| 14:00 | 410 | ცსკა მ-ხიმკი | 1.25 | 4.30 | 7.60 | 1.00 | 1.07 | 2.74 |
| 14:00 | 411 | კამაზი-მოსკოვი | 3.30 | 3.00 | 1.95 | 1.57 | 1.22 | 1.18 |
| 14:00 | 412 | ყუბანი-ურალი სვერდლოვსკი | 1.55 | 3.30 | 5.00 | 1.05 | 1.18 | 1.98 |
| 14:00 | 413 | როსტოვი-ტომსკი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 14:00 | 414 | ნალჩიკი-რუბინი | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 14:00 | 415 | ზენიტი-დინამო მ | 1.55 | 3.30 | 5.00 | 1.05 | 1.18 | 1.98 |

# პატრიოტთა ბანაკი აჟენში

## ქართველი მორაგბეები საფრანგეთში ცხოვრობენ და იწრთობიან



**2007 წელი** ერთობ გადატვირთულია საქართველოს რაგბის ნაკრებისთვის. ხომ არ დაივიწყეთ? ესაა მსოფლიოს თასის წელი და ქართველი „ლელოებიც" ამ უდიდესი ტურნირისთვის დიდი გამალებით და ინტენსივობით ემზადებიან. „თუ გვინდა, რომ მსოფლიოს თასზე სერიოზულად გამოვიდეთ, სერიოზულად უნდა მოვემზადოთ კიდეც" — ამბობენ „ლელოების" ხელმძღვანელები.

თბილისში შეკრების გავლის შემდეგ „ლელოები" 1 აგვისტოს საფრანგეთში გაფრინდნენ და ქალაქ აჟენში დასცეს ბანაკი. სათქმელია, რომ მსოფლიოს თასის მსვლელობისას ამავე ბაზაზე დაბინავდება რუმინეთის ნაკრები.

უკვე ცნობილია „ლელოების" სათასო სამზადისის განრიგი, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახურმა დაუზარლად მოგვაწოდა. ქართველები 17 აგვისტომდე გეგმავენ აჟენში გაჩერებას და იქვე სამი საკონტროლო მატჩიც მოინიშნეს. გუშინ გვიან „ბორჯღალის" გუნდი პირველ საწვრთნელ მატჩში ფრანგულ კლუბ „ოშს" უნდა შეხვედროდა. „ოში" წლეულს გადავიდა საფრანგეთის უმაღლეს ლიგა „ტოპ-14-ში". ბოლო სეზონი ამ გუნდში გაატარა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ილია ზედგინიძემ და გარდა ამისა, სწორედ ამ გუნდში მუშაობდა ანრი ბრონკანი, რომელიც ახლა საქართველოს ნაკრების კონსულტანტია, ხოლო საფრანგეთში სადღეისოდ „აჟენს" წვრთნის და ბუნებრივია, რომ შეკრების ამ ქალაქში გავლა და ფრანგულ კლუბებთან სპარინგი დიდწილად სწორედ მუსიე ბრონკანის იდეა და დამსახურებაა.

ცხადია, „ლელოები" ადგილობრივ გუნდსაც შეხვდებიან — 10 და 14 აგვისტოს იგეგმება „აჟენის" ახალგაზრდულ და ძირითად გუნდებთან სპარინგი. სათქმელია, რომ ეს თამაშები საწვრთნელ ხასიათს ატარებს და ნაკრებს ტესტში არ ჩაეთვლება. ამდენად, მწვრთნელებს შეუძლიათ, თამამად დაამუშაონ სხვადასხვა ტაქტიკური სქემები და ეძებონ ოპტიმალური შემადგენლობა.

აჟენური შეკრების შემდეგ საქართველოს ნაკრები ქალაქ სენტ-აფრიკაში გადაინაცვლებს, სადაც 26 აგვისტომდე დარჩება და ორ მატჩს გამართავს — 19 აგვისტოს შეხვდება ტოპ-14-ის კიდევ ერთ წარმომადგენელ „ალბის", 25 აგვისტოს კი პირველად ეთამაშება ოკეანეთის ერთ-ერთ მარგალიტ ფიჯის ეროვნულ ნაკრებს. „ლელოები" აქამდე უკვე შეხვედრიან ოკეანეთის ორ სარაგბო სახელმწიფოს — ტონგასა (1999 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის რეპეშაჟში) და სამოას (2003 წლის მსოფლიოს თასზე), ახლა კი ფიჯისაც მოუსინჯავენ ფხას და ძალას.

ამგვარად, საქართველოს ეროვნული გუნდი ოქტომბერში დასაწყები მსოფლიოს თასის წინ გვარიან სათამაშო პრაქტიკას მიიღებს. „ლელოებმა" წლეულს უკვე მიიღეს მონაწილეობა ტრადიციულ ევროპის ერთა თასზე და რუმინეთში ითამაშეს რატომღაც ასევე „ერთა თასად" წოდებულ ტურნირზე, სადაც სამი თამაშიდან ორი მოიგეს. აქ გამოსარჩევია, მსოფლიოს თასზე ჩვენი მომავალი მეტოქის ნამიბიის 28:16 დამარცხება.

**ირაკლი ფირაშვილი**



ჯონი უილკინსონმა ნაკრებში 900 ქულის გადააბიჯა

# ვარდმა ეკალი მოისხა

4 აგვისტო. თვიქნემი

**ინგლისი 62:5 უელსი**

**ინგლისი:** ტაიტი, სტრეტლი, ჰიპკისი, ფარელი, რობინსონი; უილკინსონი, პერი; ისტერი, უორსლი, კორი, ბორსვიკი, შოუ, ვიკერი (კაპ), რეგანი, შერიდანი
**სათადარიგოები:** ჩათერი, სტივენსი, მუდი, დალალიო, გომარსალი, ფლუდი
**მწვრთნელი:** ბრაიან ეშტონი
**9ლ:** ისტერი (4), რობინსონი, დალალიო, ტაიტი, ბორსვიკი, პერი; **7გ:** უილკინსონი; **1ს:** უილკინსონი
**უელსი:** ბირნი, ბროუ, შალკინი, გ. ტომასი (კაპ), დ. ჯეიმსი; სვინი, კუპერი; ოუენი, შარვისი, ა. ჯონსი, სიდოლი, ვ. ჯეიმსი, პორსმენი, ბენეტი, ი. ტომასი
**სათადარიგოები:** ჯენკინსი, რ. ტომასი, პოპჰემი, ფილიპსი, პუკი, ტ. ჯეიმსი
**მწვრთნელი:** გარეტ ჯენკინსი
**1ლ:** დ. ჯეიმსი

**ინგლისელებს** ძალიან კარგად აქვთ დაცდილი მსოფლიოს თასის წინ უელსთან თამაში — 2003 წლის თასის წინაც შეხვდნენ და 43:9 მოუგეს, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. „ვარდები" წლეულს და საერთოდ იმ ჩემპიონატის შემდეგ ისე ცუდად თამაშობენ, არავის აქვს ილუზია, რომ თასს შეინარჩუნებენ. თუმცა ინგლისელებმა „თვიქნემში" მაინც დაიბარეს უელსი და ისე სასტიკად დაამარცხეს, არასდროს რომ არ დაუმარცხებიათ. აქამდე ინგლისს უელსისთვის ყველაზე დიდი სხვაობით 2002 წელს მოეგო (50:10), ახლა კი მისგან საერთოდ არაფერი არ დატოვა.

აღსანიშნავია, რომ უელსი ლამის მესამე შემადგენლობით თამაშობდა, მიუხედავად იმისა, რომ „თვიქნემის" მწვანეზე გაიყვანა ბევრი ვარსკვლავები — კოლინ შარვისი, გარეტ ტომასი, გარეტ კუპერი, მაიკლ ოუენი და კიდევ ერთი-ორი. მთლიანად ამ გუნდიდან მსოფლიოს თასზე ნახევარიც ვერ მოხვდება.

მაგრამ ინგლისელებს ამის მიუხედავადაც არ სურთ ამ „სასახელო" გამარჯვების დაკნინება და ისე გაიხარეს, როგორც სრულფასოვანი მეტოქის ძლევით გაიხარებდნენ. „ვარდებმა" ჯამში 9 ლელო გაიტანეს და აქედან 4 ახალგაზრდა 8 ნომრის ნიკ ისტერის ანგარიშზეა. თავისი წილი ლელო გამოაცხო ძველმა 8 ნომერმა და ნაკრების ექსკაპიტანმა ლორენს დალალიომ. ულელოოდ არ დარჩა უკვე კარგად ასაკშეპარული ჯეისონ რობინსონიც. ინგლისურმა პრესამ დიდად აქო 9 ნომერი შონ პერი — მსოფლიოს თასის შემდეგ პირველად იგრძნობოდა, რომ ინგლისურ შერკინებას გამთამაშებელი ჰყავს.

მაგრამ ინგლისელები ისე არავის არ აღუფრთოვანებია, როგორც ეს ჯონი უილკინსონმა მოახერხა. ჯადოქრის ხომ მთლიანად გაუცდა 2004-06 წლები და წლეულსღა დაუბრუნდა ნაკრებს, ოღონდ ძველი ტრავმების გადამკიდეს კანტიკუნტად უწევს თამაში. ახლა მან 7 გარდასახვით და 1 საჯარიმოთი 17 ქულა გააკეთა და კარიერის განმავლობაში დაგროვილი ქულები 900-ს გადააბიჯა.

**ზურაბ მიზრიაული**

# ჩვენი მეტოქეები მსოფლიოს თასამდე

**საფრანგეთის მსოფლიოს თასზე ჯგუფში საქართველოს ნაკრებს 4 მეტოქე ეყოლება — საფრანგეთი, ირლანდია, არგენტინა და ნამიბია. უკვე ცნობილია ყველა მათგანის დაახლოებითი საწვრთნელი განრიგი და სპარინგ-მეტოქეები**

**საფრანგეთი:** გაზაფხულზე ექვსი ერის მოგების შემდეგ „მამლები" ივნისში ორჯერ შეხვდნენ ახალ ზელანდიას და ორჯერვე დამარცხდნენ. 11 და 18 აგვისტოს კი ფრანგები მარადიულ მეტოქე ინგლისს ასევე ორჯერ შეერკინებიან.

**ირლანდია:** კუნძულელები ექვს ერში მხოლოდ საფრანგეთს ჩამორჩნენ და ქებაც დაიმსახურეს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი თამაში წააგეს თასზე უშუალო მეტოქე არგენტინასთან. 11 აგვისტოს ირლანდიელები შოტლანდიელებს ესტუმრებიან, 16 აგვისტოს ფრანგულ კლუბ „ბაიონს" შეერკინებიან და სპარინგ-მატჩების სერიას 26 აგვისტოს იტალიასთან დაასრულებენ.

**არგენტინა:** „პუმებს" კლანჭები ალესილი აქვთ. მათ უკვე დაამარცხეს ყველა წამყვანი ევროპული ქვეყანა, გარდა უელსისა და „დრაკონებსაც" 18 აგვისტოს კარდიფში ეთამაშებიან. ამ უქმეებზე არგენტინელებმა ბუენოს აირესში მეზობელი ჩილე გაანადგურეს.

**ნამიბია:** აფრიკელებს შედარებით მწირი სპარინგ-სერია აქვთ — რუმინული „ერთა თასი", სადაც მათ საქართველოსთან წააგეს და აფრიკის თასის 2 მატჩი. აი, სულ ესაა „ლელოების" მთავარი მეტოქის სამზადისის ხილული მხარე.

# პუმა კლანჭებს ილესავს



4 აგვისტო. ბუენოს აირესი

**არგენტინა 70:14 ჩილე**

**არგენტინა:** ფედერიკო სერა, ლუკას ბორხესი, გონსალო ტიესი, მანუელ კონტეპომი, ორასიო აგულა; ფელიპე კონტეპომი, აგუსტინ პიშო (კაპ); გონსალო ლონგო, ხუან მანუელ ლეგუიზამონი, ხუან ფერნანდეს ლობე, პატრისიო ალბასეტე, ესტებან ლოსადა, მარტინ სკელზო, მარიო ლედესმა, მარიო აიერზა
**სათადარიგოები:** ალბერტო ვერნეტ ბასუალდი, ომარ ჰასანი, სანტიაგო გონსალეს ბონორინო, იგნასიო ფერნანდეს ლობე, რიმა ალვარესი, მარტინ შუსტერმანი, ნიკოლას ვერგალო, მარსელო ბოში, მარტინ გაიტანი, ხოსე მარია ნუნიეს პიოსეკი, იგნასიო კორლეტი
**მწვრთნელი:** მარსელო ლოფერდა

ჩილეს ძალიან დიდი ხანია, არ დაუმარცხებია არგენტინა და ეს ვერც ახლა შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ამ სპარინგ-მატჩის დასაწყისში ზორბა მეზობელს 14:0(!) უგებდა კიდეც. ჩილელებმა ორჯერ ჩაუჭრეს პასი არგენტინელთა გამთამაშებელ ფელიპე კორტეპომის (10) და ორჯერვე ფრთაა კრისტობალ ბერტის გაატანინეს. მაგრამ შემდეგ „პუმები" გამოფხიზლდნენ და 4 ლელოს გატანის შემდეგ ტაიმი 28:14 იძალეს, მეორეში კი კიდევ ექვსი გაიტანეს. არგენტინელთა უკლებლივ ყველა ლელო გარდასახა ფილიპე კონტეპომიმ, რომელმაც ერთი ლელო თავადაც „უძღვნა" ჩილელ „კონდორებს". ორ-ორი ლელო მოდის „პუმების" მცველ ფედერიკო სერას და მლეტელ ხუან ფერნანდეს ლობეს ანგარიშზე.

**ზურაბ მიზრიაული**

# ოღონდ არ იყოს ტრავმა...

## ორგზის თბილისელი თბილისელების არყოფნამ დაამწუხრა



ბოლო ორი კვირა ქართველი სპორტსმენებიდან ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელ ლადო ჩიხლაძისთვის იყო. სადევისთასო ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ამ პერიოდში თბილისში ორ საერთაშორისო ტურნირზე ითამაშა და ორივე მოიგო. წარმატება მით უფრო სასიხარულოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლადოს თბილისურ კორტზე გასვლამდე ტრავმის გამო ლამის ნახევარი სეზონი გაუცდა. ცხადია, უქმობა რეიტინგსაც დაეტყო, მაგრამ ქართველმა დაკარგული უმალ აინაზღაურა, ახლა კი უფრო წინ იყურება

— გაზაფხულზე მუხლი ისე დავიზიანე, ოთხი თვის განმავლობაში არათუ თამაში, ელემენტარული ვარჯიშიც კი არ შემეძლო. კორტზე წარმატებით დაბრუნებაც საეჭვო იყო.

**— თბილისურ ტურნირებამდე ერევანშიც ითამაშე...**

— ტრავმის შემდეგ პირველი ტურნირი სწორედ ეგ იყო და მეოთხედფინალში რომ გავედი, გადავწყვიტე, აღარ მეთამაშა. ჩოგანი ხელში სულ რამდენიმე დღის აღებული მქონდა და ერთბაშად მიღებული ამხელა დატვირთვით შეიძლებოდა, ტრავმა ისევ გამეხსნა. ტურნირის კომისარი ლეილა მესხი იყო და ამაზე მასაც ვესაუბრე. ბოლოს მაინც გავრისკე.

**— სომხური მეოთხედფინალის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე დღით დაისვენე და თბილისური ამბებიც დაიწყო. აქაც ხომ არ გაგჩენია იგივე სურვილი?**

— ჩემს ქვეყანაში თამაში იმხელა მუხტი იყო, ყველაფერი დამავიწყა. ოღონდ ეგაა, თუ ერევანში წყვილებშიც გამოვედი, აქ მხოლოდ ერთეულებში ვითამაშე. კიდევ კარგი, თორემ შეიძლება ათის ნაცვლად თვრამეტი შეხვედრა დამგროვებოდა.

**— მეორე ტურნირზე, მერიის თასზე, აშკარად უკეთ თამაშობდი, ვიდრე ერთი კვირით ადრე, კოკა-კოლას თასზე. ფორმაში შეხვედი?**

— მთავარი მიზეზი ისაა, რომ პირველ ტურნირზე გაცილებით დაძაბული ვიყავი. ნელ-ნელა ფსიქოლოგიური ტვირთიც მომეხსნა, კორტსაც შევეჩვიე და ეს ჩემს თამაშსაც დაეტყო. ბოლო ორი კვირა მართლა წარმოუდგენლად სასიხარულო იყო. მით უფრო, რომ გამარჯვებას შინაურ კედლებში ვაღწევდი.

**— აქამდე ზედიზედ ორი ტურნირი რამდენჯერ მოგიგია?**

— ერთხელ. ეს წლეულს თებერვალში, შვეიცარიაში მოვახერხე, ოღონდ დარბაზის კორტებზე და თან საპრიზო ფონდი ათი ათასი დოლარი იყო. თბილისში კი ორი თხუთმეტათასიანი ტურნირის ჩემპიონი გავხდი.

**— ბუნებრივია, შედეგით კმაყოფილი ხარ. შენს თამაშს როგორ შეაფასებ?**

— ისევ და ისევ ტრავმის გათვალისწინებით, ამ მხრივაც არ შეიძლება, უკმაყოფილო ვიყო. კორტზე მოძრაობა ჯერ მაინც მიჭირდა. ჩვეულ ფორმამდეც ბევრი მიკლია. თებერვალში გაცილებით უკეთესად ვთამაშობდი. თუნდაც დევისის თასზე თბილისური შეხვედრებისას პორტუგალიის წინააღმდეგ.

**— საკუთარი კედლების ფაქტორი ახსენე, მაგრამ ცარიელი ტრიბუნების წინ გიწევდა თამაში...**

— ალბათ იმიტომ, რომ ზაფხულია და ხალხი ქალაქიდანაა გასული, თუმცა მსგავსი პრობლემა დევისის თასის თამაშებზეც არსებობდა, რაც ძალიან სამწუხაროა, ჩემს თამაშებს ძირითადად მეგობრები და ნათესავები ესწრებოდნენ და ამ 20-30 კაცის მხარდაჭერა სასწაულად დამეხმარა. წარმოიდგინეთ, რამხელა მუხტი იქნებოდა, ტრიბუნები რომ გადაჭედილიყო.

**— კოკა-კოლას თასის დაწყებამდე რეიტინგში ექვსასეულის ბოლოს იმყოფებოდი, ეს ორი ჩემპიონობა რამდენით წაგწევს წინ?**

— პირველი თბილისური ტურნირის ქულები უკვე დამემატა და 458-ე ადგილამდე ავინაცვლე. მერიის თასის ქულები კი მომავალ კვირაში დამერიცხება და სავარაუდოდ, ოთხასეულში შევალ.

**— უახლოეს მომავალში რომელი ტურნირი გაქვს გეგმაში?**

— ხვალ გერმანიაში მივდივარ და მიუნხენში ჩასატარებელ ტურნირზე გამოვალ. საპრიზო ფონდი ათი ათასი დოლარია და ალბათ ამის გამო თამაშისგან თავს შევიკავებდი, შეჯიბრი ჩემს აკადემიაში რომ არ იმართებოდეს. სწორედ იქ დავიწყე 13 წლის ასაკში სერიოზულად ვარჯიში და ახლაც მანდ ვემზადები.

**— ამჟამად ვინაა შენი პირადი მწვრთნელი?**

— ხორვატი ნიკი პილიჩი. ძალიან კარგი სპეციალისტია. თუნდაც მარტო ის რად-ღირს, რომ სამჯერ გერმანიის ნაკრებს მოაგებინა დევისის თასი, ერთხელაც ხორვატიას.

**— აქაური გამარჯვებების შემდეგ თუ ესაუბრე?**

— პირველი ტურნირი რომ მოვიგე, მაშინ ველაპარაკე და ძალიან გაუხარდა. მეორეს თავისით შეიტყობდა. ჯერ არ გვისაუბრია. გერმანიაში გავაანალიზებთ ყველაფერს, თუმცა აქედანვე გეტყვით, რომ მიუნხენის აკადემიას ალბათ მალე გამოვემშვიდობები და სავარჯიშოდ ვენაში გადავალ, იმ კლუბში, სადაც ირაკლი ლაბაძე ემზადება, ოღონდ მე სხვა მწვრთნელი მეყოლება. ისიც ძალიან ძლიერი სპეციალისტია.

**— ტრავმის მიღებამდე ხომ არ გქონდა მწვრთნელთან ერთად დაგეგმილი, ამ პერიოდში რომელ ადგილზე უნდა ყოფილიყავი რეიტინგში?**

— ამაზე მართლაც ვისაუბრეთ. გეგმით 250-ში უნდა შევსულიყავი, მაგრამ... არა უშავს. თებერვლამდე კორტზე სულ რომ აღარ გავიდე, სამ ქულაზე მეტს არ დავკარგავ. ასე რომ, წლის ბოლომდე რეიტინგში უკან არავითარ შემთხვევაში აღარ დავიწევ. წინსვლა კი ჩემს თამაშზეა დამოკიდებული. მთავარია, ისევ ტრავმამ არ შემიშალოს ხელი, თორემ სხვა პრობლემას ვერ ვხედავ. მინდა მიუნხენური ტურნირის შემდეგ მეტი ყურადღება ფიზმომზადებას დავუთმო და ამისთვის ამერიკაში გავემგზავრები, ჩემი ძველი მწვრთნელის მაიერის მიწვევით. ეს კაცი ერთ დროს აგასის პირადი მწვრთნელი იყო და ამით ყველაფერია ნათქვამი. ახლა იმ აკადემიაში მუშაობს, სადაც ანა ტატიშვილი ვარჯიშობს. მოსამზადებლად სრულიად უანგაროდ მიმიწვია, თან იმდენი ხნით, სანამ თავად არ შევატყობ თავს პროგრესს.

**ოთარ გალდაკელიძე**



# სტუდენტური მოკრძალება

## საქართველომ უნივერსიადა ხელის თითებზე დაითვალა

**8-18 აგვისტოს** ტაილანდის მთავარქალაქი ბანგკოკი მსოფლიოს 24-ე უნივერსიადას უმასპინძლებს. უნივერსიადა ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და მასშტაბურობით ერთ-ერთი უდიდესი სპორტული შეჯიბრია ოლიმპიური თამაშების შემდეგ. წინასწარი მონაცემებით, ტაილანდში ჩასვლას 170 ქვეყნის დელეგაცია აპირებს. მედლები კი სპორტის ცხრამეტ სახეობაში გათამაშდება.

ქართული გუნდი ბანგკოკში წუხელ გაფრინდა. რამდენიმე საათით ადრე კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში სპეციალური პრესკონფერენცია მოეწყო. მომავალი შეჯიბრის შესახებ ქართული სპორტის ხელმძღვანელებმა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ისაუბრეს.

საქართველოს ღირსებას უნივერსიადაზე მხოლოდ ძიუდოისტები, მხატვრულად ტანმოვარჯიშეები და ერთი მოფარიკავე დაიცავენ. სულ კი დელეგაციაში ათი სპორტსმენია. მცირე რაოდენობის მიზეზად სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა საუნივერსიტეტო სპორტის ჩავარდნა დაასახელა, თუმცა იქვე დასძინა, ბოლოდროინდელი პრობლემები უკვე მოგვარებულია, ახლახან ამ საქმეს სათავეში ნიკოლოზ ამაშუკელი ჩაუდგა, ფინანსურად ხელის გამმართავი კომპანიებიც გამოჩნდნენ და მომავალი წლიდან ყველაფერი გამოსწორდება.

პრეზიდენტმა კი დაამატა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტური სპორტის განვითარებაზე აქტიური მუშაობა დაიწყება და ქართული უნივერსიადაც ისეთივე პოპულარული გახდება, ადრე რომ იყო. შემდეგად კი შემდეგ მსოფლიო უნივერსიადაზე გაცილებით მეტი ქართველი გამოვა.

„განაცხადი, როგორც წესი, ნახევარი წლით ადრე იგზავნება. ამიტომ ვერ მოვასწარით უფრო წარმომადგენლობითი გუნდის დაკომპლექტება. თუმცა ვფიქრობ, თავს არც ამ ათეულით შევირცხვენთ. თუნდაც მარტო ძიუდოისტების შემადგენლობას გადავხედოთ და ყველაფერს მივხვდებით. ამ სახეობაში ხომ ძირითადი ნაკრების მეორე ნომრები გავლენ ტატამზე" — დასძინა ამაშუკელმა.

აქვე ის ცხრამეტი სახეობა, მომავალი უნივერსიადის პროგრამაში რომაა შეტანილი: მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ძიუდო, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, სოფტბოლი, ფარიკაობა, გოლფი, ტაეკვონდო, სროლა, მშვილდოსნობა.




**ოთარ გალდაკელიძე**

**ქართველები ბანგკოკში**

**ძიუდო**

| | |
|---|---|
| 60 კგ | ვახტანგ ხოსიტაშვილი |
| 66 კგ | მინდია ხომიზური |
| 73 კგ | ბექა ბაიდაური |
| 81 კგ | გრიგოლ შინჯიკაშვილი |
| 90 კგ | სანდრო მსხალაძე |
| 100 კგ | ლევან რაზმაძე |
| +100 კგ | ადამ ოქრუაშვილი |

**მხატვრული ტანვარჯიში**

თათია დონაძე

ქეთი ხატიაშვილი

**ფარიკაობა**

ანზორ ალბრეხტი

# დიდი ჯონი როდიკზე გატყდა
## მაშამ უიარაღო პატი დააშამათა


ენდი როდიკი

AFP ვაშინგტონიდან

**კაცები**
**ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 $**

**ფინალი**

**ენდი როდიკი (1, აშშ) — ჯონ აიზნერი (აშშ) 6:4 7:6**

ტიმ ჰენმანი, ბენჯამინ ბეკერი, უეინ ოდესნიკი, ტომი ჰაასი, გაელ მონფილზი — ეს ის ხალხია, ვისაც ერთი კვირის წინ აბსოლუტურად უცნობმა 204-სანტიმეტრიანმა ამერიკელმა ჯომ აიზნერმა ვაშინგტონის მაგარსაფარზე მოუგო. ხუთივეს სამსეტიან მატჩში სძლია, თანაც ხუთიდან ოთხ შემთხვევაში პირველი სეტის წაგების შემდეგ მოახერხა გამარჯვება და ხუთივე თამაშის ბედი მესამე სეტის ტაიბრეიკზე გადაწყდა.

აი, ასეთი იყო წინასაფინალო სტატისტიკა და ენდი როდიკთან გადამწყვეტი მატჩის მეორე სეტის ტაიბრეიკზე ჯონს ცოტა მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, მესამეში, იქნებ მთლად სუპერსენსაციური შედეგი მიგველო და უცნობ აყლაყუდას ტურნირის მთავარი ფავორიტიც დაემარცხებინა.

არ მოხდა ასე. ენდი როდიკი თავად არის ზემძლავრი მოწოდების პატრონი და ტაიბრეიკების სპეციალისტი. წლეულს ენდიმ, უკვე 35-ედ შეასრულა საჩოგბურთო პენალტები და 28-ედ იმარჯვა.

როდიკი ვაშინგტონის, უკვე სამგზის ჩემპიონია — პირველად 2001 წელს იმარჯვა, შემდეგ 2005-ში და აი, წლეულს მესამე ტიტული მოიპოვა კორტებზე, სადაც ჩატარებული 27 მატჩიდან 24 მოგებული აქვს.

ენდის ანგარიშზე უკვე 23 საკარიერო ტიტულია და ვაშინგტონური ტრიუმფით, მან რეიტინგშიც ორი ნაბიჯით წინ წაიწია და ჯიბეც 74250 დოლარით გაისქელა.

უკმაყოფილო არც აიზნერი უნდა იყოს — ყველასთვის უცნობი აყლაყუდა ერთბაშად პოპულარობის პიკზე ავიდა. მანამდე რეიტინგის 416-ე საფეხურზე მყოფმა ჯონმა ერთბაშად მეორე ასეულში ისკუპა, 43700-დოლარიანი ჩეკი ჩაიჯიბა და ორი კვირის შემდეგ ცინცინატში გასამართი მასტერსის „ვაილდ ქარდიც" მიიღო.

**ქალები**
**სან დიეგო. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 1 340 000 $**

**ფინალი**

**მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — პატი შნიდერი (11, შვეიცარია) 6:2 3:6 6:0**




AFP სან დიეგოდან

პატი შნიდერი, რომელმაც მანამდე მარტინა ჰინგისს, ნადია პეტროვასა და ელენა დემენტიევას მოუგო, ბევრს კი ბაქიბუქობდა, შესაშურ ფორმაში ვარ და შარაპოვას დასამარცხებელი იარაღებიც გამაჩნიაო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, შვეიცარიელის იარაღებმა მხოლოდ მეორე სეტში ივარგა და მესამეში კი, საერთოდ, დაჩლუნგდა.

შარაპოვა და შნიდერი სან დიეგოს ფინალამდე ექვსჯერ იყვნენ კორტზე შეხვედრილები და მართალია, ექვსიდან ხუთი თამაში მაშას ჰქონდა მოგებული, შნიდერი მისთვის მაინც უხერხულ მეტოქედ მიიჩნეოდა, რადგანაც ყველა წინა გამარჯვება დაძაბულ ბრძოლაში ჰქონდა მოპოვებული.

რუსმა ვერც ამ ჯერზე მოიგო იოლად, თუმცა მესამე სეტის ანგარიშიდან გამომდინარე, მაშას უპირატესობა, თითქოს უზარმაზარი იყო. მაგრამ ამ ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს. მესამე სეტშიც კი, სანამ ანგარიში 4:0 გახდებოდა, ბრძოლა ძალზე დაძაბული იყო და შნიდერი ბოლოსკენღა გატყდა.

შარაპოვამ კი ნავსი გატეხა და შარშან შემოდგომაზე ავსტრიულ ლინცში გამარჯვების შემდეგ, პირველი ტიტული მოიპოვა ანუ წლეულს მაშა უტიტულოდ იყო და სან დიეგოში ამ წარუმატებლობას ბოლო მოუღო.

კალიფორნიული ტრიუმფი მე-16 იყო შარაპოვას კარიერაში და რუსის ბიუჯეტი გვარიანი თანხით — 181 980 დოლარით შეივსო.

„შარშან სან დიეგოში რომ ვიმარჯვე, მერე ამერიკის ღია პირველობაც მოვიგე. ამ გზას წლეულსაც დიდი სიამოვნებით გავივლიდი — განაცხადა გამარჯვების შემდეგ მაშამ და დაამატა — სეზონის ბოლო სლემტურნირზე წარმატებით რომ ვითამაშო, კიდევ უნდა მოვუმატო. იმედი მაქვს, ოპტიმალურ ფორმაში აგვისტოს ბოლოსთვის ვიქნები და ამ ფორმას მთელი ორი კვირის მანძილზე შევინარჩუნებ."

**კახა ლომჯარია**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**თბილისური** გარჯა და იან ჰომერის სახელობის კორტებზე ზედიზედ ორი ტურნირის მოგება ნელ-ნელა უფასდება საქართველოს სადევისთასო ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ ლადო ჩიხლაძეს.

გუშინ გამოქვეყნებულ ATP-ის ახალ რეიტინგში ლადოს მიერ თბილისში მოგებული ორი შეჯიბრიდან პირველის, „კოკა-კოლას თასის" შედეგებია გათვალისწინებული და ჩიხლაძემ კლასიფიკაციაში ერთბაშად 79 ადგილით წაიწია წინ. ერთი კვირის შემდეგ, როდესაც რეიტინგში „მერიის თასის" შედეგებიც აისახება, ჩვენებური, სავარაუდოდ, მეოთხე ასეულში შევა და ეს მისი კარიერის, ჯერჯერობით უმაღლესი პოზიცია იქნება.

რეიტინგებში მოხსენიებულ სხვა ჩვენებურებს დიდი ცვლილებები არ განუცდიათ. კაცთა კლასიფიკაციაში კვლავაც სამი ქართველია, ხოლო ქალთაში — ცამეტი და ჩიხლაძის გარდა, დანარჩენები დაახლოებით, ისევ იქ არიან, სადაც წინა რეიტინგში იყვნენ.


რეიტინგში ორი ადგილით დაქვეითებული სოფო შაფათავა ამ კვირაში მოსკოვის ათიათასიან ტურნირზე ითამაშებს

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 458 (+79) | ლადო ჩიხლაძე | 59 |
| 814 (-2) | ირაკლი ლაბაძე | 15 |
| 1335 (+3) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 139 (-5) | მაკა ჩახნაშვილი | 237,5 |
| 285 (+4) | ანა ტატიშვილი | 86,25 |
| 562 (+4) | სალომე დევიძე | 26,5 |
| 610 (-2) | სოფო შაფათავა | 22,0 |
| 689 (-8) | სოფო მელიქიშვილი | 16,0 |
| 727 (-2) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 770 (-2) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 781 (0) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 946 (+2) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1033 (+9) | თინა ყაველაშვილი | 5,0 |
| 1057 (+7) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1237 (0) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1225 (+4) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5455 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 3290 |
| 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3200 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3075 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2695 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2200 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 2085 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1995 |
| 10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1975 |
| 11. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1940 |
| 12. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1910 |
| 13. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1840 |
| 14. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1730 |
| 15. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1675 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1535 |
| 17. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1525 |
| 18. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1395 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1370 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1270 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 936 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 801 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 561 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 376 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 325 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 293 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 280 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 275 |
| 9. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 260 |
| 10. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 257 |
| 11. გილერმო კანასი (არგენტინა) | 256 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 252 |
| 13. ტომი ჰაასი (გერმანია) | 250 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 244 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 239 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 227 |
| 17. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 221 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 220 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 206 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4457 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3808 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3241 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2978 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2891 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2661 |
| 7. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 8. სერენა უილიამსი (აშშ) | 2325 |
| 9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2063 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1975 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1900 |
| 12. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1830 |
| 13. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1819 |
| 14. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1765 |
| 15. დინარა საფინა (რუსეთი) | 1762 |
| 16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1750 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1749 |
| 18. შაჰარ პეერი (ისრაელი) | 1539 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1416 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1166 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3245 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3050 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2431 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2215 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2161 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2105 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1740 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1648 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1481 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1421 |
| 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 13. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1398 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1396 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1384 |
| 16. შაჰარ პეერი (ისრაელი) | 1258 |
| 17. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1246 |
| 18. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1161 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1100 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1020 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალზე მავალი კაცისა და მცურავი ბერიკაცის ამბავი

**გასული** საუკუნის დამდეგს ჩვენმა თანამემამულე მამედ ბედიამ რომ თავი დაადო და ბათუმიდან ფოთამდე გადაცურა, იმ დროს ეს მარათონული ცურვის ისტორიაში პატარა ამბავი არ იყო. მერე ჩვენმა სპორტსმენებმა აუზში ცურვის კლასიკურ დისტანციებზე კანტიკუნტ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ რა ხანია, ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა და სანატრელი გაგვიხდა.

დღეს მსოფლიოში მოცურავეები ისეთ მარათონულ დისტანციებს ფარავენ და თანაც ზოგნი ყინულოვან წყლებშიც, რომ კაცს ნამდვილად შეგშურდება.

სამწუხაროდ, ჩვენ ამ საქმეში უსაშველოდ ჩამოვრჩით, რადგან იმ დაწყევლილ საბჭოთა კავშირში მარათონული ცურვა აკრძალული იყო — კებ შიშობდა, ემანდ ვინმე თურქეთში, ფინეთში, შვეიცარიაში, იაპონიაში ან კორეაში ცურვა-ცურვით არ გაგვეპაროსო, მაგრამ ახლა მარათონს ვიღა ჩივის, როცა ვეღარც აუზში ცურვაში ვვარგივართ, სამაგიეროდ, პოსეიდონის სამეფოს უცნაურ ფორმებში ვიპყრობთ.

გავიხსენოთ თუნდაც თბილისელი ჰენრი კუპრაშვილი, რომელმაც 2002 წელს ხელფეხშეკრულმა დარდანელის სრუტე გადაცურა, რითაც ყველა გააკვირვა. მერე გამოჩნდა ბეგლარ ელბაქიძე, რომელმაც ცალ ხელში მობილური ტელეფონით და მეორეში საქართველოს ალმით თბილისის ზღვა სიგრძეში (11 კმ) გადაცურა თუ გადაიარა, მის ამგვარ ცურვას კი ზეზეულა და დგომელა ცურვა უწოდეს.

ახლახან ბეგლარ ელბაქიძე და მასთან ერთად ალექსანდრე თუთბერიძე თურქეთის საზღვაო დღესასწაულზე მიიწვიეს. მათაც იქ თავი გამოიჩინეს და ამასთან დაკავშირებით გუშინ კინოს სახლში პრესკონფერენციაც მოეწყო, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირის („გიორგი") თავმჯდომარე, მრავალი უცნაური შესაძლებლობების აღმომჩენი, ჩვენი კოლეგა გვანჯი მანია, ვინც თურქული გაცურვის მთავარი ორგანიზატორი გახლდათ.

აღმოჩნდა, რომ მარმარილოს ზღვაში იზმიდის ყურის გადასაცურად თურქეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელს მოეყარა თავი.

— თუთბერიძესა და ელბაქიძეს 10-დან 25 კილომეტრამდე გაცურვა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მასპინძლებმა გვითხრეს, ეგ სხვა დროს იყოს, ახლა კი თურქეთის საზღვაო დღესასწაული იმ სამას კაცთან ერთად კილომეტრ-ნახევარზე ცურვით თქვენებურად გაგვილამაზეთო და გავულამაზეთ კიდეც. 70 წლის ბატონმა ალექსანდრე თუთბერიძემ, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მხარი ექცა და გაცურა, ბოლოს მდგომარეობა გამოასწორა, მობრუნდა, სულ სხვა მხარეს დაწინაურებულებს გამოუდგა, ბევრს დაეწია და თანატოლებში ყველასაც აჯობა. 47 წლის ბეგლარ ელბაქიძემ თავის ჩვეულებისამებრ, ცალ ხელში მობილური ტელეფონი, მეორეში კი საქართველო-თურქეთის ალმები რომ ეკავა, სრუტე ისე გადაცურა, რომ არც მობილური დასველებია, არც ალმები. იმ 45 წუთის განმავლობაში, რომელიც ბეგლარმა კილომეტრნახევრის დაფარვას მოანდომა, ჩვენი მოცურავე მობილურით გულშემატკივართა და ჟურნალისტთა ზარებს პასუხობდა. ბოლოს ყველაფერი უკან რომ დარჩა, თურქეთის გაზეთები მისი ფოტოებით გაივსო, ბეგლარს კი უწოდეს „ადამიანი, რომელიც ზღვაზე დააბიჯებს".

თურქი ჟურნალისტები აღტაცებით წერდნენ, რომ კილომეტრნახევარი და 45 წუთი რა არის, როცა ამ კაცს 14 საათის განმავლობაში წყალში ამგვარად ზეზეულა უვლიაო.

თავად გვანჯი მანიამ და ბეგლარ ელბაქიძემ დაგვაიმედეს, მომავალში უფრო გაგაკვირვებთო, 70 წლის ბერიკაცი კი პრესკონფერენციაზე რატომღაც არ გამოჩნდა, ამიტომაც იხუმრეს, ეტყობა, მხარი ეცვალაო...

**ავთანდილ ბჟვიშელი**



# ფელპსი გულაღმაც თავისუფალია

**ინდიანაპოლისში** მიმდინარე ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატზე ტიტულების ხვეჭას აგრძელებს 22 წლის კაციზვიგენი მაიკლ ფელპსი. იგი ინდიანაში ქვეყნის 32-გზის ჩემპიონის რანგში ჩავიდა და იქ კიდევ 6-ჯერ მოიგო ოქრო.

ამ უქმეებზე ფელპსმა სამი ოქრო გაახერხა. განსაკუთრებით შაბათი გამოდგა მისთვის მოვლენებით და მედლებით დატვირთული. წინათაც ვწერდით, ეს უნიჭიერესი ბიჭი სახეობებს არ არჩევს, ყველა სტილში გადასარევად ცურავს და თუ არ გადაიღალა, ნებისმიერი მათგანის მოგება ხელეწიფებაო. ფელპსი კარგი კომპლექსისტია, ანუ ოთხივე სტილს კარგად ფლობს, მაგრამ ის გულაღმა ცურვაში გრანდად და ოქროს მედლის მთავარ კანდიდატად არასდროს ითვლებოდა ინდიანაპოლისში გამოსვლამდე. ახლა კი მან ერთი ხელის მოსმით შეცვალა მსოფლიო აუზეთის ძალთა თანაფარდობა — ჯერ 200 მეტრი გულაღმა გაცურვა მოუგო ამ დისციპლინაში მსოფლიოს ჩემპიონ და რეკორდსმენ რაიან ლოჩტეს, შემდეგ კი, შაბათს, 100 მეტრი გულაღმაც მოიგო და თავისი ყოვლისშემძლეობის თაობაზე ყველა ეჭვი გაფანტა.

შაბათს 100 მეტრ გულაღმა ცურვაში ფელპსმა არცთუ დამაჯერებლად დაიწყო. ის აშკარად ჩამორჩა ვინმე ბენ ჰენსონს, რომელმაც პირდაპირ არანორმალური ტემპი აიღო და 50 მეტრი ისე გაცურა, მსოფლიო რეკორდს გაასწრო. მაგრამ მან ვერ გათვალა თავისი შესაძლებლობები და შემდეგ 50 მეტრზე ისე დაიღალა, რომ ბრინჯაო ძლივს შეხვდა.

ფელპსმა კი პირიქით, სწორედ მეორე ნახევარში მოუმატა და ისეთი მძლავრი ფინიში ჰქონდა, რომ სულ რაღაც 0,03 წამით, ანუ დაახლოებით ხელის მტევნის სიგრძით ჩამორჩა აარონ პირსოლის მსოფლიო რეკორდს — 53,01 წამი იყო მისი დრო.

„არ ვიცოდი, რამდენად ახლოს ვიყავი რეკორდთან, 50 მეტრის შემდეგ თავი წამოვწიე და წინ ჰენსონი დავინახე; იმდენად წინ იყო, ვიფიქრე, რეკორდიც და გამარჯვებაც მისია მეთქი, მაგრამ ჩამორჩა. უკანასკნელი მეტრები ისე გაგიჟებით გავცურე, რომ ლამის მხრებიდან ამომვარდა ხელები" — ფელპსი ასე თუ ისე მაინც კმაყოფილი ჩანდა, რაკილა 200 და 100 მეტრზეც მიუახლოვდა მისთვის უცხო სახეობაში მსოფლიო რეკორდს, ესე იგი პეკინის ოლიმპიადისთვისაც შეძლებს ამას და ამდენად ოქროს მედალზე შეტევას.

შაბათს მეორე ოქრო ფელპსმა მისთვის უკვე კარგად ნაცად 200 თავისუფალ მეტრში მოიგო. ამ წყალში ის მართლა თევზივითაა, ამ გაზაფხულს იან ტორპსაც კი ჩამოართვა მსოფლიოს რეკორდი. მართალია, ახლა ფელპსი რეკორდზე არ გაწეულა, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოიგო 1 წუთსა და 44,98 წამში.

ფელპსი კვირისთვისაც ორ ოქროს გეგმავდა, და ერთ-ერთი მათგანი, გუნდური 4x100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა მოაგებინა კიდეც თავის გუნდ „ვოლვერინზს" (მიჩიგანის შტატის ყველაზე პრესტიჟული საცურაო კლუბი). მაგრამ შემდეგ უარი თქვა 200 მეტრ ინდივიდუალურ კომპლექსურ გაცურვაზე და ეს ნაბიჯი მწვრთნელთან შეთანხმებით ახსნა. მას და მის მწვრთნელ ბობ ბაუმანს თურმე წინასწარ დაუთქვამთ, რომ თუკი ფელპსი შაბათს 200 მეტრ თავისუფალში წუთსა და 45 წამს დაახარჯებდა, მას ავტომატურად უარი უნდა ეთქვა 200 მეტრ კომპლექსურზე, რაკი ძალზე გადაღლილი იქნებოდა. სათქმელია, რომ ფელპსმა თავიდანვე უგანა 400 კომპლექსურს, ახლა კი 200-ზეც არ გამოვიდა. ეს სახეობები მისია, მაგრამ ძალზე ძნელი და ისევ და ისევ გადაღლილობის თავიდან ასარიდებლად, ამ ჯერზე ისინი იუარა.

ბოლოს ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ სხვა საინტერესო მოცურავეთა თაობაზეც: კეიტ ციგლერი და კეტი ჰოფი უკვე მესამედ გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ამჯერად ამ უკანასკნელმა მოიგო, როცა 200 მეტრი თავისუფალი სტილით 1.57,57 შედეგით გაცურა.

40 წლის დარა ტორესმა კიდევ ერთხელ განაცვიფრა ხალხი, როცა 100 თავისუფალი მეტრის მოგების შემდეგ 50-იც მოიგო (24,53 წამში) და თავისი მეხუთე ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა. ტორესს ამერიკის ჩემპიონატზე ოქრო ჯერ კიდევ 24 წლის წინ მოუგია. მას შემდეგ ამ ქალთევზამ უამრავი რამ მოასწრო ცხოვრებაში, შვილის გაჩენაც კი.

**კოტე ყორშია**



# იაო + იე

**გასულ უქმეებზე** შანხაიში ქორწილი იყო, თვით მილიარდნახევრიანი ჩინეთისთვისაც კი უნახავი — დაოჯახდნენ მონა ღვთისა იაო მინი და მხევალი ღვთისა იე ლი.

იაო მინი, მოგეხსენებათ, NBA-ს სუპერვარსკვლავია, სრულიად ჩინეთის გმირი და ამ ქორწილმაც ამხელა აჟიოტაჟი ამიტომ გამოიწვია.

როგორც ჩინური გაზეთები წერენ, იაოს საზეიმო ცერემონიალი ერთი მილიონი იუანი (დაახლოებით 130 000 ამერიკული დოლარი) დაუჯდა. 226-სანტიმეტრიანმა კალათბურთელმა და მისმა 190-სანტიმეტრიანმა მეუღლემ ქორწილის შემდეგ ფეშენებელური იახტით მდინარე ხუანხიზე გაისეირნეს.



# რანიკო რუსეთში

**ევროპის** ჩემპიონატის B დივიზიონში საქართველოს ნაკრების უმთავრესი მეტოქის, ფინეთის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ტეემუ რანიკო ახალ სეზონს რუსეთში, კერძოდ კი მოსკოვის ოლქის „ხიმკიში" გაატარებს.

სლოვენიურ „ოლიმპიაში" მანუჩარ მარკოიშვილის ყოფილი თანაგუნდელი უკვე ჩაფრინდა რუსეთში და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა.

პარალელურად, რანიკო თავისი ახალი გუნდის საკლუბო ინფრასტრუქტურას გაეცნო და კმაყოფილიც დარჩა. „მყუდრო დარბაზი და მოსახერხებელი გასახდელებია. იმედია, აქაურობას მალე შევეჩვევი და ქომაგებსაც შევუყვარდები" — განაცხადა ფინელმა.



# ჰაილეს კურდღლობა ვის გაუგია?




**ჰაილე გებრსელასიემ** წლეულს კიდევ ერთი ტიტული მიამატა გამარჯვებათა გრძელ ნუსხას. კარიერაშივე ლეგენდად ქცეულმა ეთიოპიელმა სტაიერმა კვირას ნიუ იორკის ნახევარმარათონი მოიგო და თან ამერიკის კონტინენტებზე გამართულ ნახევარმარათონებში ყველა დროის მეორე შედეგი დააფიქსირა — 59 წუთი და 24 წამი. ზედმეტი არ იქნება იმის თქმა, რომ პირველი შედეგიც მისივე გახლავთ — შარშან ფინიქსში 21-კილომეტრიანი დისტანცია 58 წუთსა და 55 წამში დაფარა.

ნიუ იორკში ჰაილე თავისთავად ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ იყვნენ სხვებიც, მათ შორის, ამერიკის უძლიერესი სტაიერი აბდი აბდირაჰმანი და წლეულს ჩიკაგოს პრესტიჟული მარათონის მომგები კენიელი რობერტ ჩერიოტი. ამ სამეულმა საკმაოდ კარგად დაიწყო: ყველა მოწინავე ჯგუფში მოექცა, შემდეგ კი მათი სირბილის ტემპს ბევრმა ველარ გაუძლო და თანდათან შემოეფანტათ შემთხვევითი ხალხი. ნახევარი დისტანციის გარბენის შემდეგ, ერთმანეთს თუ არ ჩავთვლით, მათ ხელს აღარავინ უშლიდათ და ნიუ იორკის ქუჩებში ბრძოლა დაიწყო. პირველი შეცდომა ჩერიოტმა დაუშვა, რომელმაც წყლის დასალევად გზისპირა ფარდულთან მიირბინა. ეს რომ მარათონული, 42-კილომეტრიანი რბენა ყოფილიყო, იქნება არც არაფერი მომხდარიყო, მისი მეტოქეები ძალებს დაზოგავდნენ და იქნებ მოწინააღმდეგეს დალოდებოდნენ კიდეც, მაგრამ ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე ჰაილემ და აბდიმ ფეხს აუჩქარეს და „მოტეხეს“ კენიელი, რომელიც ველარც დაეწია ლიდერთა დუეტს.

დაახლოებით მე-15 კილომეტრზე ერთ ეპიზოდში აბდირაჰმანმა გებრსელასიეს დაწინაურება სთხოვა: „მთხოვა, ცოტა ხანი წინ შენ ირბინეო — ყვებოდა მოგვიანებით გებრსელასიე, თან თავისებური გაუხუნებელი ღიმილით აჯილდოვებდა მკითხველს — მგონი, აბდის ჩემი „კურდღლად“ გამოყენება უნდოდა, ჩემს ზურგს უკან დაისვენებდა და ძალებს დაზოგავდა. მაგრამ მე თავს კარგად ვგრძნობდი და მის გარეშეც შემეძლო სირბილი, ფეხს ავუჩქარე და ის ველარც დამეწია.“

მოკლედ, ჰაილემ ლამაზად მოიგო, აბდიმ კი, მიუხედავად იმისა, რომ პირადი რეკორდი აჩვენა, მაინც ვერ ჩაეტია ერთ საათში და 1:00.29 შედეგით მეორე ადგილზე დაასრულა სირბილი. ჩერიოტი 1:00.58 დროით მყარი მესამე იყო.

კაცთა პარალელურად, ტრადიციულად ქალებმაც ირბინეს. აქ გამარჯვებული უფრო დაძაბულ ბრძოლაში გამოვლინდა. კენიელმა ჰილდა კიბეტმა სულ ერთი წამით შეასწრო ფინიშზე თანამემამულე კატერინ ნდერებას. ორივეს საათსა და 10 წუთზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა 21 კილომეტრის გასარბენად.

**ძოტე ყორშია**



# აურზაური განცხადების გამო

## ხელბურთის ასოციაციაში სამთავრობო კრიზისია



მამუკა სხიერელი

**გუშინ** საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ოფისში აღმასკომის მორიგი სხდომა შედგა. დღის წესრიგში იყო საკითხები ოქტომბერში თბილისში საქართველოს კაცთა ნაკრების მონაწილეობით „ჩელენჯ ტროფის“ ტურნირის ორგანიზების, კარსმომლგარი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებისა და ასოციაციის ვადამდელი ყრილობის მოწვევის შესახებ.

მაგრამ არც ერთ მათგანზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ, რადგან კამათი მხოლოდ ასოციაციის პრეზიდენტ მამუკა სხიერელის მოულოდნელ გადადგომასთან დაკავშირებით იყო. აღმასკომის წევრთა ნაწილის აზრით, რაკი სხიერელს ასოციაციისთვის ამის თაობაზე წერილობით არ უცნობებია და მხოლოდ სიტყვიერად განაცხადა, იმ ერთი კვირის წინანდელ სხდომაზე, რომელსაც აღმასკომის ყველა წევრი არ ესწრებოდა (თუმც კვორუმი იყო), მაშინვე არ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და 12 სექტემბერს ვადამდელი საარჩევნო ყრილობის მოწვევის შესახებ.

ასოციაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტ ჯემალ ცერცვაძის განცხადებით, სხიერელს ორი დღის წინ მისთვის უთქვამს, გადადგომა ოჯახური პრობლემების გამოც გადავწყვიტე და ერთ-ორ თვეში განცხადებასაც დავწეროო.

უახლოეს დღეებში აუცილებელია მამუკა სხიერელთან შეხვედრა, რათა გაირკვეს ის მიზეზ-პრობლემები, რამაც მას ამ ნაბიჯის გადადგმა გადააწყვეტინა და ყველა კითხვას პასუხი გაეცეს.

ალბათ უმჯობესი იქნება, მამუკა სხიერელმა, რაკი მას მართლა სურს გადადგომა, ოფიციალური განცხადება დაწეროს, რათა 12 სექტემბრისთვის დანიშნულ ყრილობას ლეგიტიმურობა შემატოს.

**გია ახალაძე**



WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP

**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში**
**მეცხრე ეტაპი. ფინეთი. 362,3 კმ**




AFP

# ძველი კაცი ძველ ეტაპზე

## გრონჰოლმმა ფინეთში მეშვიდედ იმარჯვა

**ორთვიანი** შესვენების შემდეგ მერალეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ჩქაროსნული, ფინური ეტაპით განახლდა, რომელიც 1951 წლიდან უცვლელად ტარდება და ადრე „1000 ტბის რალის“ სახელით იყო ცნობილი.

პრაქტიკულად ყველა მასპინძელ მარკუს გრონჰოლმის გამარჯვებას ელოდა, მით უმეტეს, რომ სამშობლოში ექვსჯერ მომგები ვეტერანი სუომელი წლეულს შესაშური ალმაფრენით დაქრის და წინა ორი დიდი პრიზის დასაკუთრების შემდეგ გენერალურ კლასიფიკაციაში უკვე ცხრა ქულით უსწრებდა ბოლო სამი სეზონის გვირგვინოსან სებასტიენ ლოებს.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა ბოლო ოთხ წელიწადში, როცა სები ფინეთში არა ლიდერის, არამედ მდევრის რანგში ჩავიდა. ცნობისთვის, მის სუომურ აქტივში ოდენ ორი მეორე საპოდიუმო ადგილი იყო.

ერთი სიტყვით, ყოველგვარი წინაპირობა გრონჰოლმის მხარეს გახლდათ და რა გასაკვირია, რომ თანამემამულე-თანამძღოლ ტიმო რაუტიაინენთან ერთად სარეკორდო, მეშვიდე მშობლიური გამარჯვებაც იზეიმა, ამასთან, უმთავრეს კონკურენტებზე უზარმაზარი უპირატესობით — ვეტერანები 23-დან 17 ჩქაროსნულ უბანზე ყველაზე სწრაფები იყვნენ და ლოებ-ელენას „სიტროენი“ წუთზე მეტით ჩამოიტოვეს.

მეორე ადგილზეც ფინურ-ფორდული ეკიპაჟი გავიდა მიკო ჰირვონენისა და იარმო ლეჰტინენის შემადგენლობით. ასე რომ, სუომელებმა მშობლიურ ტრასაზე დუბლით გაიმარჯვეს.

რაც შეეხება კიდევ ერთ მსოფლიოს ჩემპიონ პეტერ სოლბერგს, თავისი „სუბარუს“ წლეულს ჩვეულად ქცეული პრობლემის გამო ნორვეგიელი პილოტი მეორე დღის ბრძოლას გამოეთიშა.

ამრიგად, 39 წლის უხნესმა მერალე გრონჰოლმმა სატურნირო ცხრილში უპირატესობა 13 ქულამდე გაზარდა და, ბუნებრივია, პენსიაზე გასვლას სამგზის ჩემპიონის რანგში აპირებს.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 2 სთ; 57.26,1 |
| 2 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 24,2 |
| 3 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 1.09,9 |
| 4 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 3.02,8 |
| 5 | ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, ფორდი) | 4.29,4 |
| 6 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, სუბარუ) | 7.00,5 |
| 7 | ურმო აავა (ესტონეთი, მიცუბისი) | 7.39,6 |
| 8 | მატი ოსტბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 9.31,9 |

**საერთო ჩათვლა**

1. გრონჰოლმი — რაუტიაინენი 75 ქულა; 2. ლოები — ელენა 62; 3. ჰირვონენი — ლეჰტინენი 57; 4. ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი 28; 5. სორდო — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 28; 6. პეტერ სოლბერგი — მილსი (ნორვეგია, სუბარუ) 26; 7. ატკინსონი — მაკნილი/პრევო 20; 8. ლატვალა — ანტილა (ფინეთი, ფორდი) 12; 9. კარლსონ — ჟირადე (შვედეთი, სიტროენი) 9; 10. შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 9

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 132 ქულა, სიტროენი 92, სუბარუ 48, სტობარდ-ფორდი 45, კრონოს-სიტროენი 27

# ვალვერდეს ტიტული არ ეთმობა

## რუსებს მენშოვი დააკლდათ



ალეხანდრო ვალვერდე

**შაბათს** გამართული ერთდღიანი „სან სებასტიან კლასიკის“ შემდეგ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) და მის მიერ ორგანიზებულმა „პრო-ტურის სერიამ“ გამოაქვეყნეს პრო-ტურის ახალი რეიტინგები.

მრბოლთა კლასიფიკაციის სათავეში კვლავაც წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ ტრიუმფატორი, „ლიქუიგასის“ იტალიელი მრბოლი დანილო დი ლუკა უდგას.

ტოპ-ოცეულში წინა რეიტინგთან შედარებით სულ ორი გადაადგილება მოხდა. სან სებასტიანში მესამე ადგილზე გასულმა ალეხანდრო ვალვერდემ ავსტრალიელ კედელ ევანსს გაუცვალა ადგილი და კლასიფიკაციაშიც მესამე საფეხურზე აინაცვლა. ვალვერდე პრო-ტურის სერიის შარშანდელი გამარჯვებულია და წლეულსაც აქვს პირველობის შანსი — ესპანელი დი ლუკასთან 17 ქულასღა აგებს, ხოლო მეორე ადგილზე მყოფ თანამემამულე ალბერტო კონტადორს ოდენ ერთი ქულით ჩამორჩება. 34-ე პოზიციიდან მეოცეზე გადავიდა იტალიელი ალესანდრო ბალანი და მანამდე მეოცეზე მყოფმა რუსმა დენის მენშოვმა ერთი ადგილით უკან დაიხია. რაც შეეხება სან სებასტიანური რბოლის მომგებ იტალიელ ლეონარდო ბერტანოლის, ის აქამდე რეიტინგში არ იყო, ახლა კი 40 ქულით 42-ე ადგილზეა.

ბალანის შემატების შემდეგ პირველ ოცეულში იტალიელთა რაოდენობა ხუთამდე ავიდა. ესპანელები, ავსტრალიელები და ლუქსემბურგელები ტოპ-მრბოლთა სიაში სამ-სამი კაცით არიან წარმოდგენილნი, ხოლო რუსები, ფრანგები, ბელგიელები, ამერიკელები, გერმანელები და ყაზახები თითო ველოსიპედისტით იწონებენ თავს.

რაც შეეხება გუნდების წარმომადგენლობას, ტოპ-ოცეულში დანიურ CSC-ის სამი მრბოლი ჰყავს, ამერიკულ „დისქავერის“, ესპანურ „კაისე დეპარნის“, ბელგიურ „ლოტოს“, გერმანულ „გეროლშტაინერსა“ და იტალიურ „ლამპრეს“ — ორ-ორი, ხოლო კიდევ შვიდი გუნდი თითო ველოსიპედისტითაა წარმოდგენილი.

### პრო-ტურის რეიტინგი

#### მრბოლები

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | 207 |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი“) | 191 |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი“) | 190 |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | 174 |
| 5. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) | 157 |
| 6. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი“) | 129 |
| 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, „კაისე დეპარნი“) | 115 |
| 8. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | 112 |
| 9. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 95 |
| 10. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | 88 |
| 11. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) | 87 |
| 12. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 86 |
| 13. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 81 |
| 14. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) | 79 |
| 15. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი“) | 77 |
| 16. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | 76 |
| 17. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა“) | 74 |
| 18. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“) | 74 |
| 19. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“) | 71 |
| 20. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | 70 |

**გუნდები:** 1. CSC (დანია) 281; 2. ლიქუიგასი (იტალია) 240; 3. კაისე დეპარნი (ესპანეთი) 234; 4. სონი დიუვალი (ესპანეთი) 233; 5. დისქავერი (აშშ) 231; 6. AG2R (საფრანგეთი) 227; 7. ასტანა (ყაზახეთი) 207; 8. რაბობანკი (ჰოლანდია) 201; 9. ქვიკ სტეპი (ბელგია) 195; 10. ლოტო (ბელგია) 181.

**ქვეყნები:** 1. იტალია 617; 2. ესპანეთი 602; 3. ავსტრალია 412; 4. ლუქსემბურგი 296; 5. გერმანია 246; 6. რუსეთი 238; 7. ბელგია 207; 8. აშშ 172; 9. ჰოლანდია 160; 10. საფრანგეთი 153.

# ასტანას ვუელტა დაუდასტურეს

**სეზონის** მესამე და ბოლო სუპერრბოლა „ვუელტა ესპანა“ 1 სექტემბერს დაიწყება, მაგრამ აქედანვე ცნობილია, რომ „ტურ დე ფრანსის“ არ იყოს, არც „ვუელტაზე“ იქნება პირველნომრიანი მრბოლი.

შარშანდელი „ვუელტა“ ყაზახური „ასტანას“ ტრიუმფით დასრულდა — პირველობა ალექსანდრ ვინოკუროვმა მოიპოვა, ხოლო ანდრეი კაშეჩკინი მესამე იყო. „ვინო“, მოგეხსენებათ, ახლახანს დასრულებულ „ტურზე“ დოპინგზე ჩავარდა და ყაზახური ველოგუნდის თავკაცებმა სახელოვან თანამემამულეს კონტრაქტი გაუწყვიტეს. ეგ კი არა, „ასტანაში“ გადაწყვიტეს, შოკიდან გამოსასვლელად ერთგვარი ანტრაქტი მოეწყოთ და აგვისტოში გამართულ ნებისმიერ რბოლაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

1 სექტემბერი, უკვე აგვისტო აღარაა და „ასტანამაც“ მიიღო „ვუელტაზე“ გამოსვლის ნებართვა. ოღონდ, ბუნებრივია და ყაზახები ესპანეთში ვინოკუროვის გარეშე ჩავლენ.

სავარაუდოდ, „ვუელტაზე“ ასტანელთა ლიდერი გერმანელი ანდრეას კლოდენი იქნება.



ალექსანდრ ვინოკუროვი ესპანეთში შარშანდელს ვერ გაიმეორებს



# დე როოი სკამის მონა არ არის

## რაბობანკი გენერალურმა დირექტორმა დატოვა

**თეო დე როოი,** ჰოლანდიური ველოგუნდის „რაბობანკის“ გენერალური დირექტორი, თანამდებობიდან გადადგა.

დე როოის წასვლა უშუალო კავშირშია ახლახანს დასრულებულ „ტურ დე ფრანსზე“ მომხდარ სკანდალურ მოვლენებთან, როდესაც „ტურის“ დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე „რაბობანკმა“ ჯერ რბოლიდან დაითხოვა და შემდეგ კი კონტრაქტი გაუწყვიტა დანიელ მიქაელ რასმუსენს, ვინც იმ წუთისთვის დიდი უპირატესობით ლიდერობდა გენერალურ კლასიფიკაციას და ფაქტობრივად, უკვე „ტურის“ ჩემპიონი იყო.

როგორც რასმუსენმა მოგვიანებით თქვა, სასტუმროდან ის ძალღივით გააგდეს და ერთადერთი, ვინც გამოემშვიდობა, სწორედ დე როოი იყო.

„ეს უაღრესად რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ ჩანდა“ — ერთგვარად გულდაწყვეტით ბრძანა დე როოიმ, ვინც „რაბობანკს“ მისი დაარსების დღიდან, 1995 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობდა.

ამ 12 წლის მანძილზე რაბობანკის“ მრბოლებმა მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატების ექვსი და ეროვნული ჩემპიონატების 81 ტიტული; ათჯერ გახდნენ „პრო-ტურის სერიის“ წინამორბედის, მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპების, ანუ ერთდღიანი კლასიკური რბოლების გამარჯვებულები და 27-ჯერ იმარჯვეს სამი უდიდესი სუპერრბოლის („ტურ დე ფრანსი“, „ჯირო დიტალია“, „ვუელტა ესპანა“) ეტაპებზე. ამ ყველაფრის გვირგვინად „რაბობანკის“ მრბოლის მიერ „ტურ დე ფრანსის“ მოგება უნდა ქცეულიყო და მიზანი თითქოს ახლოც იყო, მაგრამ...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ტორელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯიშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბეჩელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge